პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი, № 131 (12045) | შაბათი, 10 ივნისი, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდობავ, შრომის ფერხულში!

სულ მალე ქალაქად თუ სოფლად შრომის ფრონტს მოედება მთელი არმია. ფაბრიკებსა და ქარხნებს, ტრანსპორტსა და მშენებლობებს, შახტებსა და მაღაროებს, საკოლმეურნეო მინდვრებსა და ფერმებს, პლანტაციებსა და ბაღ-ვენახებს შეემატება ათეულ ათასობით ომოშავე. შრომის ფრონტის ყველა ამ უბანზე ეს ახალი ძალები მოიტანენ სიცოცხლეს, ხალისს, ენერგიას, რომანტიულ გაქანებას, სიძნელეთა გადალახვის დაუცხრომელ სურვილს, და, რაც მთავარია, დამოუკიდებელი შრომის ერთგვარ გამოცდილებას, პრაქტიკულ ჩვევებს, განმტკიცებულს წიგნური, თეორიული ცოდნით.

ვინ არის ეს არმია, რომელსაც შრომის ფართო ასპარეზი მოელის? —ჩვენი ბეჭითი, სახელოვანი, სიცოცხლით სავსე მოსწავლე ახალგაზრდობა. კიდევ ცოტა ხანი, და იგი, ეს ახალგაზრდობა, დატოვებს საკლასო ოთახებს, სკოლის მერხებს, სასკოლო კაბინეტ-ლაბორატორიებს და ცხრა თვის დაძაბული გონებრივი შრომის შემდეგ ენთუზიაზმით გაიჭრება თავისუფალი ფიზიკური შრომის ასპარეზისაკენ.

და აი აქ, ამ ახალ ასპარეზზე უნდა მას მოფიქრებული, გონივრული დახვედრა.

ლენინური კომუნისტური პარტიის ინიციატივით შემოშავებულმა უდიდესმა სახელმწიფოებრივმა ღონისძიებამ — ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ ცნობილმა კანონმა, მისი განხორციელებისათვის ბრძოლის პირველმა ნაბიჯებმა აღზარდა მოსწავლე ახალგაზრდობაში შრომის სიყვარული, მატერიალურ ფასეულობათა შექმნის, თეორიული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობასთან მტკიცედ დაკავშირების ინტერესი.

მთელი ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობის, გულისთქმა გამოხატეს მოსკოვის ოლქის რუზის რაიონის ტუჩკოვოს სკოლის კურსდამთავრებულებმა, როცა გამოიჩინეს შესანიშნავი თაოსნობა მთელი კლასი წავიდეს ყამირზე, რათა შერეულად უდაბური ტრამალში შექმნან იური გაგარინის სახელობის საბჭოთა მეურნეობა. სტავროპოლის მხარის ჩერნოლესეის მე-17 საშუალო სკოლის მეთერთმეტეკლასელებმა გადწყვიტეს სამუშაოდ წავიდნენ მშობლიურ საბჭოთა მეურნეობაში. რუზელი და ჩერნოლესელი მოსწავლე ახალგაზრდობის ამ პატრიოტულ თაოსნობას მხარს უჭერს მთელი ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობა. სიხარულით და ენთუზიაზმით ბაძავენ მათ ჩვენი რესპუბლიკის საშუალო სკოლების დამამთავრებელი კლასების მოსწავლეები. საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის პატრიოტულ თაოსნობას —სკოლის დამთავრებისთანავე წავიდეს წარმოებაში სამუშაოდ — სათავეში ჩაუდგა კომკავშირი. სულ უფრო და უფრო იზრდება რუზელი და ჩერნოლესელი პატრიოტების მხარდამჭერ ქართველ მოსწავლეთა რიცხვი. ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის საშუალო სკოლის X კლასის 30 მოსწავლემ ერთხმად გადაწყვიტა სკოლის დამთავრების შემდეგ გამუშაონ მშობლიურ კოლმეურნეობაში. ასეთივე სურვილი გამოთქვეს თეთრწყაროს სოფელ ბოგვისა და წალენჯიხის რაიონის სოფელ საჩინოს საშუალო სკოლების მეათეკლასელებმა. ხოლო ზესტაფონის რაიონის სოფელ I სვირის საშუალო სკოლის ყველა კურსდამთავრებული დიდი ხანია ენერგიულად შრომობს მშობლიურ საბჭოთა მეურნეობასა და კოლმეურნეობაში. თბილისის 106-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებს გადწყვეტილი აქვთ იმუშაონ მშენებლობაზე. საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის V პლენუმმა მოიწონა მოსწავლე ახალგაზრდობის ეს პატრიოტული თაოსნობა და დაავალა კომკავშირულ ორგანიზაციებს საქმით გამოეხმაურონ ამ თაოსნობას.

გიხარია, რომ გვეზრდება ბეჯითი, შრომისმოყვარე თაობა, კომუნიზმის მოამავალ მშენებელთა არმია.

ავიღოთ თუნდაც ჩვენი რესპუბლიკის მოსწავლე ახალგაზრდობის შრომის შარშანდელი მაგალითები. 1960 ბრიგადა 4.700 რგოლით, 71.000 მოსწავლით! — აი ძალა, არმია, რომელიც რესპუბლიკის საკოლმეურნეო სოფლის შრომაში შარშან მონაწილეობდა. და რა გგონიათ! — 1.250.000 შრომადღე გამოიმუშავეს მათ. ჩვენ როდი გვჩვევია მიღწეულით დაკმაყოფილება, და თუ წელს, შარშანდელი გამოცდილების გამოყენებით, საკოლმეურნეო შრომაში ორგანიზებულად ჩავაბამთ მოსწავლეთა უფრო მეტ რაოდენობას, ცხადია, შედეგიც ბევრად უკეთესი გვექნება.

სკოლებში ახლა გვეზრდება ისეთი ახალგაზრდობა, რომელსაც გამოცდილი პედაგოგების ხელმძღვანელობით უნარი შესწევს თვით ბუნებასაც შეებრძოლოს, წაართვას მას იმაზე მეტი, რისი მოცემაც დღემდე შეეძლო. აი ხაშურელ მოსწავლეთა მაგალითი. აქ, ვაუის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა კომბოსტოს და სიმინდის უხვი მოსავალი მიიღეს არა მარტო ბეჯითი ფიზიკური შრომით. არამედ, რაც მთავარია, აგრონომიული მეცნიერების მოშველიებით, აგროტექნიკურ ღონისძიებათა გამოყენებით.

მოსწავლეთა თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული შრომის ერთიანობის ეს მაგალითი ერთეული როდია. აი ასეთი ცოდნისა და უნარის მქონე ახალგაზრდობა ემატება ჩვენი საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა არმიას საზაფხულო არდადეგების პერიოდში.

დიდი შრომითი ალმავლობით ხასიათდება ქალაქის მოსწავლე ახალგაზრდობის საქმიანობა ფაბრიკებსა და ქარხნებში, ლაბორატორიებში, ახალ მშენებლობებზე. ქუთაისის სკოლების მოსწავლეები სწავლას საავტომობილო ქარხანაში ნაყოფიერ შრომას უთავსებენ. აქ, ამ ქარხანაში. მათდამი გულისხმიერ, მშობლიურ დამოკიდებულებას იჩენენ ოსტატები, მუშები. შრომის კარგ მაგალითებს იძლევა თბილისის, რუსთავის, ბათუმის მოსწავლე ახალგაზრდობა. რესპუბლიკის ათასობით ახალგაზრდამ სკოლაში სწავლასთან ერთად რამდენიმე პროფესია აითვისა.

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, ფაბრიკა-ქარხნებისა და მშენებლობების ხელმძღვანელებს, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს მართები აქვთ დანე ზრუნონ მოსწავლე ახალგაზრდობის დასახვედრად. წინასწარ მოფიქრებული, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საჭიროებათა გათვალისწინებით შემოშავებული გეგმის მიხედვით გაანაწილონ ძალები უბნებზე, მიუჩინონ მათ შრომაში ხელმძღვანელობისათვის გამოცდილი, გულისხმიერი, ახალგაზრდობის ნამდვილად გულითადად მოყვარული ადამიანები, რომლებსაც უნარი შესწევთ სწორად წარმართონ ამ ახალგაზრდობის შრომითი ენთუზიაზმი.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ამ ახალგაზრდობის შრომის ფერხულში ჩაბმა, რომელიც წელს საშუალო სკოლის კურსს ამთავრებს. ასეთი ახალგაზრდობის რიცხვი წელს ათასობითაა. საითკენ უნდა წარვმართოთ მათი მომავალი? — ცხადია, ისინი უნდა ჩავაბათ შრომაში. მათ ელიან. როგორც ძლიერ შევსებას, რეზერვს ჩვენი რესპუბლიკის მუშათა კლასი და საკოლმეურნეო გლეხობა. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები, სამეურნეო ხელმძღვანელები აქედანვე უნდა ზრუნავდნენ მათი შრომითი მოწყობისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის გრანდიოზული პროგრამა დასახა. მოსწავლე და საშუალო სკოლის კურსდამთავრებულ ახალგაზრდობას ბევრი რამ შეუძლია გააკეთოს ამ პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლაში, იმისათვის ბრძოლაში, რომ ღირსეულად შესრულდეს რესპუბლიკის სოციალისტური ვალდებულებანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და შესყიდვის გადიდების დარგში.

მთელი ქართველი ხალხი დაუცხრომელი ენერგიით შრომობს იმისათვის, რომ ღირსეულად შეხვდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII და საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობებს. რესპუბლიკის მშრომელთა ამ მზადებაში თავისი პატრიოტული წვლილი უნდა შეიტანოს ჩვენმა სახელოვანმა ახალგაზრდობამ.

შრომის ფერხულში, მოსწავლე ახალგაზრდობავ!

ნ. ს. ხრუშჩოვი და დოქტორი სუკარნო სტუმრად კრეისერ „ქიროვის“ მეზღვაურებთან.

გულითადი შეხვედრები

ნ. ს. ხრუშჩოვი და დოქტორი სუკარნო ლენინგრადში

ლენინგრადი, 8 ივნისი. (საკდესი). დღეს ობუხოვის სახლთსამშენებლო კომბინატის კოლექტივს დიდი, სასიხარულო დღე აქვს. დილით სახლთმშენებლებს ესტუმრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის ministრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ი. ვ. სპირიდონოვისა და სკკპ ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის გ. ი. პოპოვის თანხლებით.

ნ. ს. ხრუშჩოვმა დაათვალიერა საყალიბო საამქრო, სადაც დადგმულია პანელების საყალიბებელი კასეტიანი მანქანები. შემდეგ იგი შეეგება საარმატურო საამქროში და დაათვალიერა ახალი მექანიზმები, რომლებითაც ამზადებენ საარმატურო ბადეებს დიდი ზომის კონსტრუქციებისათვის. ახსნა-განმარტებას იძლეოდნენ ლენინგრადის მთავარმშენის უფროსის მოადგილე კ. ა. გლუხოვსკოი და კომბინატის მმართველი კ. ვ. ტრუხელი.

ნ. ს. ხრუშჩოვი დიდხანს ესაუბრებოდა მუშებს.

კომბინატის კოლექტივის დავალებით პარტიული ბიუროს მდივანმა პ. ე. ვასილიევმა ნ. ს. ხრუშჩოვს აჩუქა ალბომი ფოტოსურათებით, რომლებიც ასახავენ საწარმოს ისტორიას. მან თქვა, რომ ობუხოვოს სახლთმშენებლებმა, ისევე როგორც მთელმა საბჭოთა ხალხმა, ფართოდ გამალეს სოციალისტური შეჯიბრება პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავად და ვალდებულება იკისრეს 17 ოქტომბრისათვის მალაია ოხტაზე ააგონ სამოც-სამოც-ბინიანი 55 სახლი, რომელთა საერთო ფართობი იქნება 100 ათასი კვადრატული მეტრი, ეს გაცილებით მეტია, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული.

ნ. ს. ხრუშჩოვმა ახალი წარმატებები უსურვა მშენებლებს შვიდწლედის მესამე წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში.

შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვმა ინახულა ქორწინების სასახლე, სადაც მას ახალგაზრდობა მხურვალედ შეხვდა. საბჭოთა მთავრობის მეთაური დაესწრო გალანა და იური კირილოვების დაქორწინების რეგისტრაციის საზეიმო ცერემონიას და გულითადად მიესალმა მათ. ახალგაზრდა ცოლ-ქმარმა ამბავნაგ ნ. ს. ხრუშჩოვს მიართვა ყვავილები და მიიწვია სუფრასთან. ნიკიტა სერგის-ძემ ადღეგრძელა ახალგაზრდები, უსურვა მათ დიდი ოჯახური ბედნიერება და ჯანმრთელობა, მან საჩუქარი ფაღვნა ახალგაზრდა ცოლ-ქმარს.

ლენინგრადი, 8 ივნისი. (საკდესი). დღეს ინდონეზიის პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი დოქტორი სუკარნო და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი ქრონშტადტის ბალტიელმა ფაბრიკებსა და ქარხნებში, ლაბორატორიებში, ახალ მშენებლობებზე. ქუთაისის სკოლების მოსწავლეები სწავლას საავტომობილო ქარხანაში ნაყოფიერ შრომას უთავსებენ. აქ, ამ ქარხანაში. მათდამი გულისხმიერ, მშობლიურ დამოკიდებულებას იჩენენ ოსტატები, მუშები. შრომის კარგ მაგალითებს იძლევა თბილისის, რუსთავის, ბათუმის მოსწავლე ახალგაზრდობა. რესპუბლიკის ათასობით ახალგაზრდამ სკოლაში სწავლასთან ერთად რამდენიმე პროფესია აითვისა.

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, ფაბრიკა-ქარხნებისა და მშენებლობების ხელმძღვანელებს, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს მართები აქვთ დანე ზრუნონ მოსწავლე ახალგაზრდობის დასახვედრად. წინასწარ მოფიქრებული, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საჭიროებათა გათვალისწინებით შემოშავებული გეგმის მიხედვით გაანაწილონ ძალები უბნებზე, მიუჩინონ მათ შრომაში ხელმძღვანელობისათვის გამოცდილი, გულისხმიერი, ახალგაზრდობის ნამდვილად გულითადად მოყვარული ადამიანები, რომლებსაც უნარი შესწევთ სწორად წარმართონ ამ ახალგაზრდობის შრომითი ენთუზიაზმი.

ნ. ს. ხრუშჩოვი და დოქტორი სუკარნო ტანკერ „ბელარუსთან“

ბელარუსი, 9 ივნისი. (საკდესი). ბელარუსის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში ნ. ს. ხრუშჩოვს ეცნობა ტანკერ „ბელარუსის“ ნავსადგურის ბრიგადა, ტანკერ „ბელარუსის“ ბრიგადა, ტანკერ „ბელარუსის“ ბრიგადა, ტანკერ „ბელარუსის“

ჩქეფდეს იდეური ცხოვრება!

ქუთაისის პარტიული ორგანიზაციის გამოცდილებიდან

თუ ადამიანს არა აქვს იდეური რწმენა, აქვთი ადამიანი ყოველთვის ცხოვრობს განწყობილებისა და ქარის ქროლვის მიხედვით. საჭიროა დაუცხრომლად ვაწარმოოთ პარტიის წევრებს, კანდიდატებს, კომკავშირელებს შორის, პარტიის გარეშე მყოფ პარტიო აქტივს შორის იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა, რათა ყოველი ბოლშევიკი — პარტიული და უპარტიო — იდეურად შეიარაღებული იყოს.

ნ. ს. ხრუშჩოვი.

მიზანსწრაფვა, კონკრეტულობა პროპაგანდისეულ მუშაობაში

შ. კობახიძე,
საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი.

ქიდევ ოთხიოდე თვე და მუშაობას შეუდგება სკკპ XXII ყრილობა, რომელიც უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იქნება პარტიისა და საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში.

საბჭოთა ხალხის გრანდიოზული წარმატებანი სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში უწინარეს ყოვლისა პარტიის დიდი ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობის შედეგია. იდეოლოგიურ მუშაობაში პარტია იქიდან გამოდის, რომ კომუნიზმის აშენებისათვის არ კმარა მარტო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, არამედ ამასთან ერთად აუცილებელია კომუნიზმის მშენებელი ახალი ადამიანის — კომუნისტური მსოფლმხედველობისა და კომუნისტური თვისებების მქონე ადამიანის აღზრდა.

მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საფუძველია მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე მოძღვრება. კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის მკვეთრი გაუმჯობესების გზები და საშუალებები ასახულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1960 წლის 9 იანვრის დადგენილებაში „თანამედროვე პირობებში პარტიული პროპაგანდის ამოცანების შესახებ". ამ დადგენილების შესრულებისათვის გაწეულმა დიდმა შემოქმედებითმა მუშაობამ ქალაქ ქუთაისის პარტიული ორგანიზაციის იდეურ ცხოვრებაში, კომუნისტებისა და უპარტიოების პოლიტიკური განათლების ორგანიზაციასა და შინაარსში გამოიწვია ღრმა დადებითი ცვლილებანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მითითებათა საფუძველზე, მოსკოვის და სხვა პარტიული ორგანიზაციების მაგალითისამებრ, ქუთაისის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვნად გაფართოვეს საერთოდ პარტიული პროპაგანდის და კერძოდ, ეკონომიური განათლების სფერო. ბევრი მათგანი მიზნად ისახავს უახლოეს წლებში ეკონომიური ცოდნის მინიმუმით შეიარაღოს მუშათა აბსოლუტური უმრავლესობა. გასულ სასწავლო წელს ქალაქის პარტორგანიზაციაში პირველად შეიქმნა ეკონომიური განათლების 47 სკოლა, რომლებშიც გაერთიანებული იყო 1100 მუშა. გარდა ამისა, შექმნილი იყო მრეწველობისა და მშენებლობის ეკონომიკის შემსწავლელი 27 წრე და სემინარი, პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელი 19 წრე და სემინარი. ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა პარტიის საქალაქო კომიტეტთან არსებული ორწლიანი ეკონომიური სკოლა, რომელიც ახლახან 27 ამხანაგმა დაამთავრა. ესენი არიან საწარმოთა დირექტორები, ინჟინერები, პარტიული და პროფკავშირული მუშაკები. გასულ სასწავლო წელს პარტიის საქალაქო კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტში ახლად გაიხსნა ეკონომიური ფაკულტეტი. რომლის მსმენელები სწავლობენ პოლიტიკურ ეკონომიას და წარმოების კონკრეტული ეკონომიკის საკითხებს. ფართო გავრცელება ჰპოვა ტექნიკურმა კონფერენციებმა და თეორიულმა კონფერენციებმა მრეწველობის კონკრეტული ეკონომიკის საკითხებზე. ასეთი ღონისძიებები სისტემატურად ბორციელდება ქალაქის მსხვილ საწარმოებში და პარტიის საქალაქო კომიტეტის პოლიტიკური განათლების კაბინეტში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 9 იანვრის დადგენილების განხორციელებისათვის გაწეული მუშაობის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი ის არის, რომ ქალაქის პარტიული ორგანიზაციების უმრავლესობამ შეძლო იდეოლოგიური მუშაობის მჭიდროდ დაკავშირება ცხოვრებასთან, კომუნისტური მშენებლობის ამოცანებთან, ამის ნათელსაყოფად პირველ-დი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის პრაქტიკიდან შეიძლება დავასახელოთ მრავალი. მაგალითი, მაგრამ მათ შორის მხოლოდ ერზე შევჩერდებით.

ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის ავტომატების საამქროს პირველ ლარტიულ ორგანიზაციასთან მეორე წელია მუშაობს მრეწველობის ეკონომიკის შემსწავლელი სემინარი, რომელშიც გაერთიანებული არიან საამქროს მოწინავე მუშები, ოსტატები, ენერგეტიკოსები, ინჟინრები. სემინარის ხელმძღვანელი ეკონომისტი გ. ასათიანი საინტერესოდ. ქართველი ავტომშენებლების წინაშე მდგომ პრაქტიკულ ამოცანებთან მჭიდრო კავშირში წარმართავს სემინარის მუშაობას.

სემინარის მსმენელები უნარიანად იყენებენ მიღებული ცოდნას პრაქტიკულ საქმიანობაში. მაგალ 15 მსმენელი — კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრი — დარკვრელია. ხოლო კომუნისტი გ. ლომაძე — კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი. ამ საამქროს კოლექტივი პირველი ჩაება სოციალისტურ შეჯიბრებაში კომუნისტური შრომის საამქროს სატიტრო წოდების მოსაპოვებლად. საამქროს კოლექტივმა, რომელიც კარგი ხანია ფლობს საქარხნო გარდამავალ წითელ დროშას, ვალდებულება იკისრა სკკპ XXII ყრილობის გახსნის დღისათვის შეასრულოს შვიდწლედის მესამე წლის გეგმა და დაიმსახუროს კომუნისტური შრომის საამქროს მაღალი წოდება.

ქალაქის პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში ყოველთვის იდგა სკკპ ისტორიის შესწავლა. გასულ სასწავლო წელს, ისევე როგორც წინათ, დიდი იყო მისწრაფება და ინტერესი პარტიის ისტორიის დაუფლებისადმი. სეროიზული ყურადღება მიექცა პარტიის მოღვაწეობის უკანასკნელი პერიოდის, განსაკუთრებით ომისშემდგომი პერიოდის შესწავლას. ახალგაზრდა კომუნისტთა ერთი ნაწილი კი, რომელსაც წინათ არ შეუსწავლია პარტიის ისტორია, მეცადინეობდა სახელმძღვანელოს პირველი თავებიდან.

დაძლეულ იქნა წინათ არსებული ნაკლი, როცა ქალაქის პარტორგანიზაციებში შექმნილი არ იყო მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შემსწავლელი არც ერთი წრე და სემინარი. გასულ სასწავლო წელს შექმნილი იყო ასეთი ტიპის 25 წრე და სემინარი, რასაც ერთის მხრივ ხელი შეუწყო ქართულ ენაზე სახელმძღვანელოს გამოსვლამ. ქალაქის პარტიულ ორგანიზაციაში გასულ სასწავლო წელს საკმაოდ გაიზარდა სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის, მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის საკითხების შემსწავლელი სემინარების რიცხვი. წინანდელი ხუთის ნაცვლად იგი 14-მდე აკიდა. მნიშვნელოვნად გაიზარდა „აგრეთვე მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის, კომუნისტური აღზრდის, ესთეტიკის და ათეიზმის საკითხების შემსწავლელი წრეებისა და სემინარების რაოდენობა. ნაყოფიერად იმუშავა ესთეტიკის საკითხების შემსწავლელმა სემინარმა ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში (პარტბიუროს მდივანი ვ. გვენცაძე. სემინარის ხელმძღვანელი სსრ კავშირის სახალხო არტისტი აკ. ვასაძე). ათეიზმის საკითხების შემსწავლელი ხუთი წრიდან და სემინარიდან სამი შექმნილი იყო მოსახლეობისათვის, განსაკუთრებით დაახასლისებისათვის, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ პედინსტიტუტის დოცენტები ი. ბერძული და ლ. სანიკიძე. პოლიტეკნიკური განათლების ასეთმა ფორმამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ანტირელიგიური პროპაგანდის გაუმჯობესების საქმეში, ამ მხრივ მომავალ სასწავლო წელს უფრო მეტი ღონისძიებები განხორციელდება.

ბევრი კომუნისტი და უპარტიო პოლიტიკური ცოდნის დონეს იმაღლებდა მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელ წრეებსა და პოლიტსკოლებში. ნაყოფიერად განგრძობდა მუშაობას მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტში. უნივერსიტეტის მსმენელთა უმრავლესობა ნაყოფიერ პროპაგანდისტულ მუშაობას ეწევა.

მასებში დიდი ორგანიზატორული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაშლის შედეგად მნიშვნელოვნად ამაღლდა ქალაქის შრომელთა პოლიტიკური და შრომითი აქტივობა. ისინი აღფრთოვანებით ჩაებნენ XXII ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში და იკისრეს გადიდებული ვალდებულებანი, რომლებიც წარმატებით სრულდება.

პარტიის საქალაქო კომიტეტი სერიოზულ დახმარებას უწევდა წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებს. მათთვის რეგულარულად ეწყობოდა ლექციები, ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები. მარტო მიმდინარე წელს ქალაქის პარტიულ ორგანიზაციებში 30-ზე მეტი თეორიული კონფერენცია გაიმართა. ამასთან პარტიული განათლების მთელ სისტემაში წამყვანი ადგილი ეჭირა დამოუკიდებელი სწავლების კოლექტიურ, სემინარულ ფორმას, რომელმაც საგანგებო გაამართლა თავისი დანიშნულება.

პარტიული განათლების ცენტრალური ფიგურა პროპაგანდისტია. ამიტომ საქალაქო კომიტეტმა მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელა პროპაგანდისტთა კადრების შერჩევის, აღზრდისა და სწავლების გაუმჯობესებისათვის, მათი მეთოდური დაოსტატებისათვის. ერთ-ერთი სერიოზული ნაბიჯი ამ დარგში იყო ის, რომ გასულ სასწავლო წელს პროპაგანდისტულ მუშაობაში ჩავებით ქალაქის თითქმის ყველა ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა პროფკავშირული და სამეურნეო მუშაკი, ყველა ტიპის წრეებისა და სემინარების პროპაგანდისტებისათვის ქალაქკომთან მუშაობდა 10 მუდმივმოქმედი სემინარი. შემოღებულ იქნა „პროპაგანდისტის დღე", რამაც დადებითი როლი შეასრულა განსაკუთრებით დამწყებ პროპაგანდისტთა დახელოვნების საქმეში. პროპაგანდისტების ავტორიტეტის ამაღლებისა და მორალური წახალისების მიზნით საქალაქო კომიტეტმა შემოიღო საპატიო სიგელები, რომლებიც ამ დღეებში გადაეცემა 40-მდე მოწინავე პროპაგანდისტს.

მაგრამ ამასთან ერთად უნდა ვაღიაროთ, რომ პროპაგანდისტთა შერჩევის, აღზრდისა და სწავლების საქმეში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებები გვაქვს.

ახლა, როცა მიღებულია უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1961 წლის 5 მაისის დადგენილება „პროპაგანდისტთა კადრების შერჩევისა და მომზადების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ", ჩვენს წინაშე ისახება მეტად სერიოზული ამოცანა — გადაჭრით გავაუმჯობესოთ პროპაგანდისტთა კადრების შერჩევის, აღზრდისა და სწავლების საქმე. ეს ამოცანა ახლა მთელი სერიოზულობით ისახება იმასთან დაკავშირებით, რომ პოლიტიკური განათლების სისტემაში მომავალი 1961-1962 სასწავლო წლის დაწყება ემთხვევა პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში უდიდეს მოვლენას — სკკპ XXII ყრილობის მოწვევას. პროპაგანდისტებს მოკლე დროში მოელით უდიდესი გაქანებისა და მნიშვნელობის სამუშაო: მათ თვითეულ მშრომელს უნდა გააცნონ ყრილობის დოკუმენტების შინაარსი და დარაზმონ საბჭოთა ადამიანები კომუნისტური საზოგადოების აშენების დიდებული პროგრამის წარმატებით განსახორციელებლად.

ითვალისწინებს რა იდეოლოგიური ფრონტის მუშაკების წინაშე დღევანდელ ეტაპზე მდგომ ამოცანებს, პარტიის „საქალაქო" კომიტეტი აქედანვე შეუდგა პროპაგანდისტთა კადრების გულდასმით შერჩევასა და მომზადებას. გადაწყვეტილია მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტთან შექმნათ პროპაგანდისტთა მოსამზადებელი სპეციალური ფაკულტეტი, სადაც მიღებული იქნებიან უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდა კომუნისტები, რომლებიც ავლენენ პროპაგანდისტული მუშაობისადმი მიდრეკილებას. პროპაგანდისტთა ერთი ნაწილი ჯერ კიდევ ვერ ახერხებს თეორიისა და პრაქტიკის კარგად დაკავშირებას იმის გამო, რომ მათ არა აქვთ საკმაო ეკონომიური განათლება. ამიტომ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე და შემდგომაც მოეწყობა პროპაგანდისტთა თეორიული კონფერენციები მრეწველობისა და მშენებლობის ეკონომიკის ყველაზე აქტუალურ საკითხებზე. პროპაგანდისტთა ახალი სახის საქალაქო თეორიული კონფერენცია უკვე მზადდება. ამ თვის ბოლოს მოეწყობა კონფერენცია თემაზე — „შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გზები". კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებები აგებული იქნება ქუთაისის სამრეწველო საწარმოთა მუშაობის მაგალითებზე. მომდინარე წლის ივლისში პოლიტიკური განათლების კაბინეტში ყველა ტიპის წრეების, სკოლებისა და სემინარების პროპაგანდისტებისათვის მოეწყობა მეთოდური კონფერენცია პროპაგანდისტული მუშაობის საკითხებზე. ივლისიდან პროპაგანდისტებისათვის რეგულარულად წაიკითხავენ მაღალკვალიფიციურ ლექციებს აქტუალურ თეორიულ, პოლიტიკურ და სამეურნეო საკითხებზე. მოეწყობა პროპაგანდისტთა ექსკურსიები ჩვენი ქალაქის მსხვილ სამრეწველო საწარმოებში, აგრეთვე თბილისისა და რუსთავის საწარმოებში.

გადაჭრით გაუმჯობესებას მოითხოვს პარტიის ქალაქკომთან არსებული პროპაგანდისტთა მუდმივმოქმედი სემინარების მუშაობა, ზოგიერთ ჩვენს სემინარში პროპაგანდისტებს მორიგი მეცადინეობისათვის კი არ ვამზადებდით, არამედ ზოგად მითითებებს ვჯერდებოდით. პარტიის ცენტრალური კომიტეტის 5 მაისის დადგენილების საფუძველზე არსებითად გარდაქმნილ პროპაგანდისტთა მუდმივმოქმედი სემინარების მუშაობას, რათა იგი ემსახურებოდეს მთავარ ამოცანას — პროპაგანდისტთა მომზადებას მორიგი მეცადინეობისათვის.

პროპაგანდისტული მუშაობის სხვადასხვა ფორმების ფართოდ გამოყენებამ მნიშვნელოვნად გაიფართოვა პროპაგანდის სფერო. პარტიულმა ორგანიზაციებმა საგრძნობლად გააძლიერეს ბრძოლა პრინციპის — „ვინც არ მუშაობს, ის არც ჭამს" განუხრელი განხორციელებისათვის, იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას.

სასწავლო წელი პარტიული განათლების სისტემაში დამთავრდა. პარტიული ორგანიზაცია ამჟამად აჯამებს გაწეული მუშაობის შედეგებს, ანალიზს უკეთებს შეძენილ დადებით გამოცდილებას, სახავს არსებულ ნაკლოვანებათა დაძლევის გზებს და აქედანვე აჩაღებს მუშაობას მომავალი სასწავლო წლის მომზადებულად შეხვედრისათვის. ამავე დროს ყურადღებას ვამახვილებთ იმაზე, რომ ზოგიერთ პერიოდში ეს არ შენელდეს, არამედ კიდევ უფრო გაძლიერდეს მშრომელთა შორის იდეოლოგიური მუშაობა.

ამჟამად პარტიისა და საბჭოთა ხალხის წინაშე არ არის იმაზე უფრო დიდი ამოცანა, ვიდრე სკკპ XXII ყრილობის წარმატებით შეხვედრა. ქალაქ ქუთაისის პარტიული ორგანიზაცია განახორციელებს ისეთ ეფექტურ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მშრომელი მასების კომუნისტური შეგნების შემდგომ ამაღლებას, სკკპ XXII და საქართველოს კპ XXI ყრილობების აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების კიდევ უფრო ფართოდ გაჩაღებას.

სურათზე: იდეოლოგიური მუშაობის საკითხებზე რესპუბლიკური თათბირ-სემინარის მონაწილეთა ერთი ჯგუფი ქალაქ ქუთაისის პარტიული ორგანიზაციიდან.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

თეორიული კონფერენცია დაგვეხმარა

მეორე წელია ჩვენი წარმოების კომუნისტთა და უპარტიო აქტივისტთა უმრავლესობა წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის გზით ვსწავლობთ პოლიტიკურ ეკონომიას. სწავლების პროცესში ზოგჯერ გვხვდებოდა ჩვენთვის ძნელად გასაგები საკითხები.

ამ საკითხების გარკვევაში დიდი დახმარება გაგვიწია თეორიულმა კონფერენციამ, რომელიც მოეწყო საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პოლიტიკური განათლების კაბინეტში, სასწავლო წლის დამთავრებასთან დაკავშირებით. აღნიშნულ კონფერენციაში ჩვენს ორგანიზაციასთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ ქალაქის სხვა ორგანიზაციებიდან წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგები, რომლებიც სასწავლო წლის მანძილზე სწავლობდნენ პოლიტიკურ ეკონომიას.

თეორიულ კონფერენციაზე მომხსენებლებმა მოიყვანეს ბევრი უმნიშვნელოვანესი თეორიული დებულება მარქსიზმის კლასიკოსთა ნაშრომებებიდან. ყოველივე ამან ჩვენში ცხოველი ინტერესი გამოიწვია, და როცა თეორიული კონფერენციიდან დავბრუნდით, ბიბლიოთეკაში მოვძებნეთ კლასიკოსების აღნიშნული შრომები, გულდასმით წავიკითხეთ ისინი, და ჩვენთვის ყველაფერი ნათელი, გასაგები გახდა.

ცხადია, თეორიულმა კონფერენციამ კიდევ უფრო გაამდიდრა ჩვენს მიერ დამოუკიდებლად მიღებული ცოდნა, დაგვარწმუნა იმაში, რომ ასეთ კონფერენციებზე მონაწილეობა მეტად სასარგებლოა.

შ. ჯიშკარიანი,
VI საგზაო-საექსპლოატაციო უბნის ინჟინერი.

ი. შელია,
VI საგზაო-საექსპლოატაციო უბნის მოლარე-მოანგარიშე.

ეკონომიური განათლება — ყველა მუშას!

ამჟამად ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის პარტიული კომიტეტის, საამქროთა და განყოფილებათა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მთელი ყურადღება მიპყრობილია იქითკენ, რომ ორისამი წლის განმავლობაში ქარხნის ყველა მუშას მივცეთ დაწყებითი ეკონომიური განათლება.

სწორედ ამ დიდ საქმეს ემსახურება ქარხნის პარტიულ ორგანიზაციებთან გასულ წელს შექმნილი 11 დაწყებითი ეკონომიური სკოლა, რომლებშიც გაერთიანებული იყვნენ მუშები, ამწყობები და ყველა ისინი, ვინც უშუალოდ ქმნის მატერიალურ დოვლათს.

ეკონომიურ სკოლებში მეცადინეობა მსმენელებს უვითარებს შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ჩვევებს, ასწავლის ყაირათიანად მუშაობას, მომპირნეობას. მაგალითად, ქარხნის პარტიულ ორგანიზაციებთან მეცადინეობის დაწყების პირველი დღიდანვე მსმენელების დიდი ყურადღება და ინტერესი გამოიწვია თერმიული საამქროს პროპაგანდისტმა, ამავე საამქროს უფროსმა შ. გაბუნიამ, რომელსაც პროპაგანდისტული მუშაობის საკმაო გამოცდილება აქვს. იგი ეკონომიური სკოლის მუშაობას მჭიდროდ უკავშირებს საამქროს კოლექტივის წინაშე მდგომ კონკრეტულ ამოცანებს.

მიმდინარე წლის 26 აპრილს მ. გაბუნიამ მორიგი მეცადინეობა ჩაატარა თემაზე: „ვიმუშაოთ და ვიცხოვრთო კომუნისტურად". მან მსმენელებს უამბო, თუ როგორ დაიწყო პირველი კომუნისტური შაბათობები, რომლებსაც ვ. ი. ლენინმა „დიადი თაოსნობა" უწოდა, ბოლოს ილაპარაკა კომუნისტური შრომის ბრიგადების მოძრაობაზე, რომელიც სკკპ XXI ყრილობის გახსნის წინადღეებში დაბადა და რომელიც ჩვენი დროის ყველაზე შესანიშნავ მოძრაობად იქცა. იგი სოციალისტური შეჯიბრების უმაღლესი ფორმაა და სანდასებით შეესაბამება კომუნიზმის გაშლილ მშენებლობის პერიოდს.

შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების მაგალითად პროპაგანდისტმა მოიყვანა საწარმოს მოწინავე ადამიანის, საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორის იოსებ ხაზარაძის თაოსნობა, როგორც ცნობილია, ხაზარაძემ შექმნა კომუნისტური შრომის სახელოსნოს მებრძოლ რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა ბრიგადა, რომელმაც იკისრა რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის გზით შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში შეიტანოს (ძველი ფულით) 10 მილიონზე მანეთი, ხოლო შვიდწლედის მეორე წელს 1 მილიონი მანეთი. შარშან ბრიგადამ პირნათლად გაანაღდა აღებული ვალდებულება — აღნიშნულ ფონდში შეიტანა 1 მილიონ 50 ათასი მანეთი (ძველი ფულით).

იოსებ ხაზარაძის ბრიგადა უკვე სკკპ XXII ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დგას და იმისათვის იბრძვის, რომ ყრილობის გახსნის დღეს, 1961 წლის 17 ოქტომბერს, 150 პროცენტით შესრულოს წლიური დავალება.

ეკონომიური განათლება დიდად დაეხმარა სკოლის მსმენელებს აემაღლებინათ თავიანთი საწარმოო კვალიფიკაცია, შედეგიც თვალსაჩინოა.

იგივე შეიძლება ითქვას სამოდელო საამქროს პირველადს პარტიულ ორგანიზაციასთან არსებული დაწყებითი ეკონომიური სკოლის მუშაობაზე. ამ სკოლის მსმენელები ა. ბუმკენაძე, ა. გონგლაძე, მ. კუკავა, შ. შენგელია, დ. კვერნაძე, ი. ოდილავაძე და სხვები წარმოების ავანგარდში დგანან, ბევრი მათგანი საგულისხმო რაციონალიზატორულ წინადადებათა ავტორია.

პარტიული განათლების სისტემაში შემაჯამებელმა მეცადინეობამ ცხადყო, რომ ქარხნის კოლექტივში დიდია ეკონომიური ცოდნის დაფფლებისადმი მისწრაფება. № 2 სამსხმელო საამქროს პირველადს პარტიულ ორგანიზაციასთან არსებული პოლიტსკოლის მსმენელებმა, ცენტრალური ლაბორატორიის საიარაღო-სატვიფრო საამქროსა და შასის საამქროს მუშებმა სურვილი გამოთქვეს მომავალი სასწავლო წლიდან სწავლა გაგაგრძონ დაწყებითს ეკონომიურ სკოლებში.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით დღემდე გაწეული მუშაობა ოდნავაც არ არის საკმარი. მომავალი სასწავლო წლიდან დაწყებითი ეკონომიური სკოლების რიცხვი ერთიორად უნდა გავზარდოთ, ფართო მასებს უნდა მივცეთ დაწყებითი ეკონომიური განათლება. ორი-სამი წლის შემდეგ ქარხნაში არ უნდა გვყავდეს არც ერთი მუშა, რომელსაც მიღებული არ ექნება ეკონომიური განათლება. დაწყებითი ეკონომიური სკოლების ნაყოფიერად მუშაობისათვის საჭიროა პროპაგანდისტთა და მსმენელთა უზრუნველყოფა სათანადო სახელმძღვანელოებითა და დამხმარე ლიტერატურით.

ჩვენი ქარხნის მრავალათასიანი კოლექტივი სკკპ XXII ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დგას. იგი თავდადებით შრომობს, რათა მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით შეხვდეს ყრილობას, გაამართლოს ის დიდი შეფასება, რომელიც ამბანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მისცა ამ საწარმოს მშრომელთა ხელით შექმნილ პროდუქციას — „ავტ-6058" მარკის შვიდ ტონის „ტვირთამწეობის ავტომანქანა „კოლხიდას".

ს. აბზიანიძე,
ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი.

ჯილდო მოწინავეებს

ქუთაისის პარტიულ ორგანიზაციაში ტრადიციად იქცა პარტიული პროპაგანდის მოწინავე მუშაკების დაჯილდოება ქების სიგელებით, მათი შეტანა სატატიო წიგნში და სხვ.

ამასწინათ პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის გადაწყვეტილებით ასეთი სიგელები მიეკუთვნა 40 პროპაგანდისტს, რომელთაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი პოლიტიკური განათლების სისტემაში გასულ სასწავლო წელს.

ქების სიგელი გაფორმებულია ლამაზად. მას აქვს წარწერა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1960 წლის 9 იანვრის დადგენილებიდან: „პროპაგანდისტული მუშაობა მიჩნეული იქნას ძირითად და უმნიშვნელოვანეს პარტიულ დავალებად".

საზოგადოებრივ საწყისებზე

სულ უფრო ფართოდ ინერგება და ვითარდება საზოგადოებრივი საწყისები პოლიტიკური განათლების კაბინეტების, პრესისა და რადიომაუწყებლობის მუშაობის პრაქტიკაში.

თავიანთი საქმიანობა გააკეთურეს ქალაქის მსხვილ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებთან — ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის პარტიულ კომიტეტთან და ლიტოპონის ქარხნის პარტბიუროსთან საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილმა პოლიტიკური განათლების კაბინეტებმა, რომლებსაც პარტიის ქალაქკომის პოლიტიკური განათლების კაბინეტი და უმაღლესი სასწავლებლის საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრები შეფობენ.

პროპაგანდისტული მუშაობის გამოცდილების განზოგადება-გავრცელებასთან ერთად, საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი პოლიტიკური განათლების კაბინეტები ადგილებზე თეორიულ და მეთოდურ დახმარებას უწევენ პოლიტსკოლებში, სემინარებში, წრეებში, ეკონომიურ სკოლებში ჩაბმულ და პოლიტიკურ თვითგანათლებაზე მომუშავე ამხანაგებს, პროპაგანდისტებს.

კაბინეტებთან მეთოდური ჯგუფების შექმნამ, აუდიტორიის თავისებურებათა გათვალისწინებით ღრმამეცნიერული ლექციებისა და მოხსენებების წაკითხვამ, თეორიულმა კონფერენციებმა და თემატურმა საღამოებმა, მნიშვნელოვნად გაძლიერა პოლიტიკური განათლების კაბინეტების როლი და კეთილნაყოფიერი გავლენა იქონია პარტიული განათლების სისტემაში სასწავლო წლის შედეგებზე.

რაიონულ და საქალაქო „გაზეთებთან პროპაგანდის უშტატო განყოფილებათა შექმნის პრაქტიკა, რომელიც მოწონებულია „თანამედროვე პირობებში პარტიული პროპაგანდის ამოცანების შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით, თავიანთ მუშაობაში ერთ-ერთმა პირველებმა დანერგეს ქუთაისის საქალაქო გაზეთის „სტალინელის" პროპაგანდის უშტატო განყოფილებამ, რომელსაც პედაგოგიური ინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინიზმის ლექტორი ნ. ჩიკობავა ხელმძღვანელობს, თავის ირგვლივ შემოიკრიბა უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების ლექტორები, მოწონაავე პროპაგანდისტები. ამ განყოფილებამ გაზეთის ფურცლებზე გამოაქვეყნა კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან დაკავშირებული რამდენიმე საინტერესო სტატია, მათ შორის ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორიც არის: „სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის კანონზომიერებანი", „იქნება თუ არა პირადი საკუთრება კომუნიზმის დროს", „ქალაქსა და სოფელს შორის არსებითი განსხვავების დაძლევის შესახებ" და სხვ.

თავიანთ საქმიანობას ასევე ნაყოფიერად წარმართავენ ახალი ტექნიკისა და საბჭოთა მშენებლობის უშტატო განყოფილებები. საზოგადოებრივ საწყისებზე ასეთივე განყოფილებებში მუშაობენ გაზეთ „კეტჩისაია პრავდაშიც".

პარტიის საქალაქო კომიტეტმა ამ დღეებში კიდევ ერთი პრაქტიკული ნაბიჯი გადადგა ამ მიმართულებით — ქუთაისში შეიქმნა და 3 ივნისიდან მუშაობას შეუდგა რადიოგადაცემათა უშტატო რედაქცია. ექვსი განყოფილებიდან, რომლებიც რადიომაუწყებლობასთან შეიქმნა, წამყვანი ადგილი პროპაგანდის განყოფილებას უჭირავს. ახლო მომავალში ქუთაისის რადიოთი გადაცემული იქნება შინაარსიანი, მოკლე საუბრები და ლექციები. ქალაქის ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, კომკავშირული და პროფკავშირული მუშაკები რეგულარულად წაიკითხავენ ლექციებსა და მოხსენებებს რადიოთი.

საზოგადოებრივი საწყისების პრაქტიკაში დანერგვისა და შემდგომი განვითარების საქმეში ქუთაისის პარტიული ორგანიზაციების მიერ შეძენილი გამოცდილება განზოგადებისა და ყოველმხრივ გავრცელების ღირსია.

ვ. ნაბუეანი,
შ. ჯავახაძე,
„კომუნისტის" სპეც. კორ.

დიდი ხელოვნება

საჯარო გამოსვლა, ადამიანთა გარკვეულ ჯგუფთან ახლობელი კონტაქტის დამყარება, მსმენელთა დაინტერესება, მნიშვნელოვან პრობლემებზე ყურადღების გამახვილება დიდი ხელოვნებაა. პროპაგანდისტული მუშაობის საკუთარი გამოცდილებით დაეარწმუნდი, რომ ცოცხალი აუდიტორიის წინაშე მდგომ პროპაგანდისტს უნარი უნდა შესწევდეს ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების გარდა მხატვრული სიტყვიერ ახროვნებით აღაგზნოს მსმენელი, მისცეს მას ცოდნა, აამაღლოს იდეურად და მიანიჭოს ესთეტიკური კმაყოფილება.

როგორც ჭეშმარიტი შემოქმედის პროფესიულ მისწრაფებებს განაპირობებს თავისი საქმისადმი სიყვარული და პატივისცემა, პროპაგანდისტული მუშაობის საუძველსაც შეადგენს შემოქმედებითი ენერგია, საქმის ღრმა სიყვარული და პატივისცემა.

კონკრეტულ მასალაზე დაყრდნობით, ნაცნობი ფაქტების გამოყენებით პროპაგანდისტი, როგორც ხელოვანი, სიცხოველეს მატებს საუბარს. სინამდვილიდან აღებული სწორი აზრები განუმტკიცებენ მსმენელებს პროპაგანდისადმი ნდობასა და რწმენას.

უკვე ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ვხელმძღვანელობ მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის შემსწავლელი თეორიული სემინარის მუშაობას.

დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის თეორიულ დებულებებზე დაყრდნობით ვცდილობდი რაც შეიძლება მიზანსწრაფული, ცხოვრებასთან დაკავშირებული გამეხადა მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის უმთავრესი საკითხების შესწავლა.

ინტერესო და უსაოცარლოა მეცადინეობა, როდესაც სახელმძღვანელო ლიტერატურით მიღებული ცოდნა პროპაგანდისტს ცხოვრებაში არ გადამუშავებულა, არ გამდიდრებულა საკუთარი გამოცდილებით, ცხოვრებიდან მიღებული მრავალფეროვანი შთაბეჭდილებით, გარდა ამისა, ყოველ თეორიულ დებულებას უნდა ჰქონდეს კონკრეტული მიზანსწრაფვა, თავისი პრაქტიკული დანიშნულება. მუსიკოსების, მსახიობების, ქოროგოგრაფების გვერდით ჩვენს სემინარულ მეცადინეობაში გაერთიანებული არიან სხვა დარგის მუშაკებიც. გასული სასწავლო წლის მანძილზე მსმენელებ ნათლად დარწმუნდნენ ესთეტიკური მეცნიერების დაუფლების აუცილებლობაში.

ი

ბონის პროვოკაციები

მშვიდობის ძალები სძლევს ომის ძალებს

სსრკ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში

მოსკოვი, 8 ივნისი. (საკდესი). სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ 8 ივნისს საფრანგეთის საელჩოს გაუკეთა განცხადება, რომელშიც საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობის ყურადღება მიაპყრო იმას, რომ ივნისის დამდეგიდან დასავლეთ ბერლინში იმართება ბუნდესტაგის მთელი რიგი კომიტეტების სხდომები, ხოლო 16 ივნისს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელისუფალნი აპირებენ მოაწყონ იქ ბუნდესტაგის სხდომა. ამასთან არ მალავენ, რომ „უკანონო ღონისძიებანი განზრახულია როგორც ახალი დიდი პროვოკაცია სსრ კავშირის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ.

საბჭოთა მთავრობა, ნათქვამია განცხადებაში, მოელის, რომ საფრანგეთის კომპეტენტური ორგანოები, რომლებსაც ამჟამად ეკისრებათ გარკვეული პასუხისმგებლობა დასავლეთ ბერლინში არსებული მდგომარეობისათვის, დასავლეთ ბერლინის მიმართ მიიღებენ საჭირო ღონისძიებებს, რომლებიც გამორიცხავენ აღნიშნულ საშიშ მოქმედებას.

ანალოგიური განცხადებები გაუკეთდა დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოებს.

ტელეგრაფი გვატყობინებს

დაპატიმრებანი თურქეთში

პარიზი, 8 ივნისი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი სტამბოლიდან იუწყება: ამ კვირის დამდეგიდან დაპატიმრეს 35 კაცი, რომელსაც ბრალად ედებათ კომუნისტური პროპაგანდა. სტამბოლში დაპატიმრებულთა შორის არიან ექიმები და ინჟინრები.

„დისკავერერი“ ოკეანეში ჩავარდა

ნიუ-იორკი, 9 ივნისი. (საკდესი). გუშინ ამერიკის სამხედრო-საჰაერო ბაზაში ვანდერბერგში (კალიფორნია) სცადეს ორბიტაზე გაეყვანათ ხელოვნური თანამგზავრი „დისკავერერი“, რომელსაც, დეპეშათა სააგენტოების ცნობით, „სპეციალური საიდუმლო მიზანი“ ჰქონდა.

„გაურკვეველი მიზეზების გამო“, განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების წარმომადგენელმა თანამგზავრი „დისკავერერი“, რომლის წონა 800 გირვანქაა, არ გავიდა ორბიტაზე, და როგორც ფიქრობენ, ჩავარდა წყნარ ოკეანეში.

პარიზში ბომბებს აფეთქებენ

პარიზი, 8 ივნისი. (საკდესი). ყოველ ღამით პარიზში ფეთქდება ბომბები, რომლებსაც ულტრაკონსერვატიული ელემენტები დებენ საფრანგეთის დედაქალაქის სხვადასხვა რაიონში.



სურათზე: დემონსტრანტების კოლონა.

„ფრიად საღი ორი დღე“

ვაშინგტონი, 8 ივნისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. კენედიმ რადიოთი წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც ილაპარაკა თავის მოგზაურობაზე ევროპაში. თავისი სიტყვის მთავარი ნაწილი მან მიუძღვნა ნ. ს. ხრუშჩოვთან საუბრებს.

კენედიმ განაცხადა, რომ დე გოლთან შეხვედრის შემდეგ ვენაში გაემგზავრა „დასავლეთის ერთიანობისა და ძლიერებისადმი გაზრდილი ნდობის გრძნობით“. პრეზიდენტმა შემდეგ განაცხადა:

„ბ-ნ ხრუშჩოვსა და მე ფრიად ფართო და გულახდილი აზრთა გაზიარება გვქონდა უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე, რომლებიც ახლა თიშავენ ჩვენს ორ ქვეყანას.

უნდა გითხრათ, რომ ეს იყო ფრიად საღი ორი დღე. არც ერთ მხარეს არ გამოუჩენია უზრდელობა, არავინ არ გაბრაზებულა, არ გამოუთქვამს მუქარა ან ულტიმატუმი. არავითარი უპირატესობა და დათმობა არ ყოფილა მიღებული ან გაკეთებული. არავითარი დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილება არ ყოფილა დაგეგმილი და მიღებული, არ ყოფილა მიღწეული რაიმე მნიშვნელოვანი პროგრესი, ჩვენ არც გვჭონდა ამის პრეტენზია. შესაძლოა, რომ ამგვარი არაოფიციალური აზრთა გაზიარება არ არის იმდენად მძელვარე, როგორც ნამდვილი თათბირი უმაღლეს დონეზე, როცა დასახულია დღის წესრიგი და არის მრჩეველთა დიდი არმია, როცა ცდილობენ აწარმოონ მოლაპარაკება და ესწრაფვიან ახალ შეთანხმებას.

ეს შეხვედრა არ ყოფილა მოფიქრებული ამგვარად, და იგი არ იყო ასეთი. ვენაში ჩვენ არ დაგვიგეგმავს რაიმე მომავალი შეხვედრა უმაღლეს დონეზე. მაგრამ მომაჩნია, რომ ეს, ასეთი საღი შეხვედრა თავმჯდომარე ხრუშჩოვთან უაღრესად სასარგებლო იყო“.

„ასეთ მოკლე პერიოდში განხეთქილება ჩვენს შორის არსებითად არ შემცირებულა, — განაგრძო კენედიმ, — მაგრამ კავშირის არხები უფრო სრულად გაიხსნა... ყოველ შემთხვევაში, ადამიანები, რომელთა გადაწყვეტილებებზე ნაწილობრივ დამოკიდებულია მშვიდობა, დათანხმდნენ იქონიონ კონტაქტი. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს“.

პრეზიდენტმა შემდეგ თქვა: „ჩვენი თვალსაზრისები მკვეთრად განსხვავდება, მაგრამ ახლა ჩვენ ის მაინც უკეთ შეიტყეთ, თუ რა პოზიციებზე ვდგევართ. არც ერთი ჩვენგანი არ აპირებდა ეკარნახებინა იქ რაიმე გადაწყვეტილება, თავს მოეხვია მეორისათვის თავის რწმენა ან დაეთმო თავისი ძირითადი ინტერესები, მაგრამ მე მგონია, ჩვენ ორივენი იქ ჩავედით, რადგან შევიგნეთ, რომ თითოეულ ჩვენს ქვეყანას შესაძლებლობა აქვს კოლოსალური ზიანი მიაყენოს მეორეს, რომ ამგვარი ომი თავიდან უნდა ავიცილოთ, თუ ასეთი ომი საერთოდ შესაძლებელია, რადგან იგი ვერ გადაჭრის ვერავითარ დავას და ვერ დამამტკიცებს ვისიმე დოქტრინას, და რომ ამიტომ უნდა ვეცადოთ ხელი შევუშალოთ იმას, რომ ჩვენი წინააღმდეგობრივი ინტერესები იმაზე მეტად შეეჯახონ ერთმანეთს, ვიდრე ეს გარდუვალია“.

კენედიმ განაცხადა, რომ ფრიად სერიოზული განწყობილება, რამაც მოლაპარაკება წარმოშვა, „ვერ იქნება ვერც სიხარულის ან დამშვიდების, ვერც გაუმართლებელი პესიმიზმის ან შიშის საფუძველი“.

კენედიმ აღნიშნა, რომ ლაოსის საკითხი „შეთანხმების რალაც უშუალო პერსპექტივას სახავდა“ და გამოთქვა იმედი, რომ უახლოეს დღეებში ჟენევაში ამ საკითხზე შეიძლება მიღწეულ იქნეს წარმატება.

მაგრამ ასეთი იმედი არ ყოფილა მეორე ჩიხის — ყენენის თათბირის გამო, რომელიც ცდილობს შეიმუშაოს ხელშეკრულება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ, განაგრძო პრეზიდენტმა და დასძინა, რომ „ყველაზე სერიოზული საუბრები ეხებოდა გერმანიისა და ბერლინის საკითხს“. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს „მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი შეინარჩუნონ დასავლეთ ბერლინში შესვლის უფლება ყოველგვარი რისკის პირობებში“.

კენედის აზრით, „ბრძოლა ახალი და უფრო ღარი ქვეყნების რაიონში მიმდინარე ათწლეულის კრიზისის მუდმივი წყარო იქნება“.

კენედიმ განაცხადა, ამერიკის შეერთებული შტატების ამოცანა ამ ქვეყნებში ის არის, რომ გაუწიონ წინააღმდეგობა, როგორც მან თქვა, „კომუნისტურ შელწვევას“. ამასთან დაკავშირებით პრეზიდენტმა მოითხოვა განმტკიცდეს „უცხო სახელმწიფოებისადმი ხამხედრო და ეკონომიური დახმარების ახალი პროგრამები“.

ვაშინგტონი, 8 ივნისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა კენედიმ სიტყვა წარმოთქვა იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტოს რედაქტორთა და იმ გამომცემელთა კრებაზე, რომლებიც ამ სააგენტოს ინფორმაციას იღებენ, და განაცხადა, რომ შეერთებული შტატები განაგრძონ მოლაპარაკება საბჭოთა კავშირთან ნეიტრალური და დამოუკიდებელი ლაოსის შექმნის შესახებ ცეცხლის შეწყვეტის პირობით, აგრეთვე მიაღწევენ შეთანხმებას ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ.

კენედიმ თქვა, რომ შეერთებული შტატები არ აპირებენ განაახლონ ატომური გამოცდა, მიუხედავად ამ საკითხზე ნ. ს. ხრუშჩოვთან მისი საუბრების „იმედგამაცრუებელი შედეგისა“.

„ამჟამად, — განაცხადა კენედიმ, — ჩვენ ვაპირებთ განვაგრძოთ მოლაპარაკება ჟენევაში და მივაღწიოთ ჩვენს მიერ შეტანილი ხელშეკრულების პროექტის მიღებას“. მე მინდა მსოფლიომ იცოდეს, თქვა მან, რომ თუ ვერ მოხერხდა შეთანხმების მიღწევა ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ, რაც პირველი ნაბიჯი იქნება უფრო ფართო განიარაღების მიმართულებით, ეს ჩვენი მიზეზით როდი მოხდება.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი შეეხო ლაოსის პრობლემას და თქვა,, რომ თუ ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება ცეცხლის ეფექტიანი შეწყვეტის შედარებით მარტივ საკითხზე, მაშინ ძალიან ძნელი იქნება, თუ შეუძლებელი არა, შეთანხმების მიღწევა ყოველ სხვა საკითხზე. როცა პრეზიდენტს ჰკითხეს, ხომ არ იქნება მიზანშეწონილი ამერიკის შეერთებული შტატებისათვის განაახლოს ატომური იარაღის გამოცდა ატომურ რაკეტებზე სამუშაოთა პროგრამის ინტერესებისათვისო, კენედიმ განაცხადა: „მე არ ვიცი ისეთი გამოცდა, რომელიც ახლა საჭირო იყოს კოსმოსის დარგში სამუშაოთა ჩვენი პროგრამისათვის და საჭიროდ მომაჩნია, რომ განვაგრძოთ მოლაპარაკება გამოცდის გარანტირებული აკრძალვის შესახებ, თუნდაც პროგრესის ჩვენი იმედი არც თუ ძალიან დამაიმედებელი იყოს“.

ამ მოლაპარაკების მარცხი, განაგრძო კენედიმ, „დიდ შეშფოთებას გამოიწვევს მთელ მსოფლიოში“.

დასასრულ კენედიმ თქვა, რომ პრესას ეკისრება პასუხსაგები ამოცანა — განუმარტოს ამერიკელ ხალხს იმ სადავო საკითხების გადაჭრის სიძნელეები, რომლებიც ახლა საფრთხეს უქმნიან მშვიდობას, განუმარტოს, რომ ამისათვის, ალბათ, საჭირო იქნება ხანგრძლივი დრო.

ჯ. კენედი ვენის შეხვედრის შესახებ

სურათზე: დემონსტრაცია ატომური იარაღის წინააღმდეგ ტორონტოში (კანადა).

უოტკინსონი იარაღს აქცევს

ლონდონი, 9 ივნისი. (საკდესი). გუშინ ლეიბორისტებმა კვლავ გააკრიტიკეს თემთა პალატაში ინგლისის თავდაცვის მინისტრის უოტკინსონის გამოსვლა დასავლეთ ევროპის კავშირის ასამბლეის სესიაზე წარსულ კვირაში.

ამ გამოსვლაში, რომელიც „ცივი ომის“ სულისკვეთებით იყო გამსჭვალული, უოტკინსონმა განაცხადა, რომ ინგლისი მზად არის პირველმა გამოიყენოს ატომური იარაღი ყოველ მომავალ კონფლიქტში. ის ფაქტი, რომ უოტკინსონის გამოსვლას საკითხი მეორე დღეა ზედიზედ დგას თემთა პალატაში, მოწმობს, რომ გაუთავებელმა ლაპარაკმა ატომური ბომბის გამოყენების შესახებ სერიოზულად შეაშფოთა ინგლისის საზოგადოებრიობა.

ლეიბორისტმა ბროკუეიმ განაცხადა, რომ, როგორც უოტკინსონის გამოსვლიდან ჩანს, მომავალში ტაქტიკურ ატომურ იარაღს ინგლისის შეიარაღებული ძალები მისაღებ საშუალებად მიიჩნევენ მიუხედავად იმისა თუ რომელ იარაღს გამოიყენებს მეორე მხარე. ეს ნიშნავს, განაგრძო ბროკუეიმ, რომ არსებობს საფრთხე ყოველი ადგილობრივი კონფლიქტი გადაიზარდოს მსოფლიო ატომურ ომად.

უპასუხო რა მთავრობის სახელით პარლამენტის წევრთა შეკითხვებზე, ფინანსთა მინისტრმა ლოიდმა განაცხადა რომ უოტკინსონის გამოსვლა არ მოწმობს ინგლისის მთავრობის პოლიტიკის შეცვლას.

ფინანსთა მინისტრის ორაზროვანმა პასუხმა პარლამენტის წევრ ლეიბორისტთა უკმაყოფილება გამოიწვია. ლეიბორისტთა სილვერმენმა ლოიდს მოსთხოვა გარკვეული პასუხი კითხვაზე: პარლამენტის წევრებმა უნდა გამოიტანონ თუ არა დასკვნა, რომ ინგლისის მთავრობა თავის პოლიტიკას საფუძვლად უდებს უწინარეს ყოვლისა ატომური იარაღის გამოყენებას?

პარლამენტის წევრთა დაჟინებითი მოთხოვნის მიუხედავად მთავრობის წარმომადგენელმა ლოიდმა უარი თქვა პირდაპირი პასუხი გაეცა და ამტკიცებდა, რომ ინგლისის მთავრობას არ სურს განმარტოს, თუ რა ვითარებაში შეიძლება გამოიყენოს ატომური იარაღი.

მდგომარეობა კენიაში

ლონდონი, 8 ივნისი. (საკდესი). ინგლისელი კომისრის ბრძანებით კენიის საბაჭოს რიგითნებში აკრძალულია რამე კრებისა და მიტინგის მოწყობა.

აკრძალვა დაკავშირებულია დაძაბულ მდგომარეობასთან, რომელიც შეიქმნა მეზობელ კენძულ ზანზიბარზე, სადაც არჩევნების დროს ადგილობრივი მოსახლეობის სერიოზული მღელვარება მოხდა. კენიას, იუწყება რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი, ეშინია „ზანზიბარში მომხდარმა ამბებმა გავლენა არ მოახდინოს კენიის სანაპირო რაიონებზე“.

დამოუკიდებლობა — ანგოლას!

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 8 ივნისი. საკდესის კორესპონდენტი ნ. კრესტნიკოვი იუწყება: დღეს უშიშროების საბჭო განაგრძობდა ანგოლაში არსებული მდგომარეობის განხილვას. სხდომაზე პირველი გამოვიდა განის წარმომადგენელი კვეესონ-სეკი, რომელმაც განაცხადა, რომ აფრიკის კონტინენტმა გაიღვიძა და აფრიკის ხალხები გმირულ ბრძოლას ეწევიან თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ამას მოწმობს ამბები, რაც ანგოლაში ხდება. განის დელეგატმა მკაცრად გააკრიტიკა პორტუგალიის მთავრობის პოზიცია ანგოლის საკითხში. პორტუგალიის წარმომადგენელი, განაცხადა მან, ამაოდ ცდილობს ანგოლის ამბები დაგვიხატოს როგორც „ტერორი ველურებისა, რომლებიც გარედან შემოვიდნენ ამ ქვეყანაში“. ეს არის ხალხის აჯანყება, ხაზგასმით აღნიშნა მან, რომელიც ანტიკოლონიურ ომად გადაიქცა.

განის დელეგაციას მიაჩნია, რომ, თუ უშიშროების საბჭომ ვერ მიაღწია ამ სასწლიღვრის შეწყვეტას, იგი დიდ საფრთხეს შეუქმნის მთელი მსოფლიოს მშვიდობასა და უშიშროებას.

პორტუგალიის კოლონიური პოლიტიკის დაგმობის პრაქტიკული ღონისძიების სახით, განაცხადა მან, განის მთავრობა მიმდინარე წლის პირველი ივლისიდან ხურავს განის ყველა ნავსადგურსა და აეროდრომს პორტუგალიის გემებისა და თვითმფრინავებისათვის, წყვეტს საქონლის შემოზიდვას პორტუგალიიდან, ზღუდავს პრივილეგიებს, განაში მცხოვრები პორტუგალიელი მოქალაქეებისათვის.

დასასრულ განის წარმომადგენელმა შეიტანა წინადადება, რომ უშიშროების საბჭომ მოსთხოვოს პორტუგალიის მთავრობას შეწყვიტოს საომარი მოქმედება ანგოლაში და დაუყოვნებლივ შეუდგეს გენერალური ასამბლეისა და უშიშროების საბჭოს ყველა გადაწყვეტილებას შესრულებას ანგოლის შესახებ.

ლიბერიის წარმომადგენელმა ნატან ბერნსმა აღნიშნა, რომ პორტუგალიის დელეგატის მიერ ანგოლის ამბების მიზეზების ახსნა, მეტი რომ არ ითქვას უცნაურია. მთელმა მსოფლიომ იცის, განაცხადა მან, რომ პორტუგალიელი კოლონიზატორები ანგოლაში ახორციელებენ სასტიკ კოლონიურ პოლიტიკას, რომელიც ამ ბოლო დროს საფრთხეს უქმნის მშვიდობას, არა მარტო აფრიკის კონტინენტზე, არამედ აგრეთვე მთელ მსოფლიოში. პორტუგალიის ხელისუფლებს და მხოლოდ მათ, ხაზგასმით აღნიშნა ბერნსმა, ეკისრებათ მთელი პასუხისმგებლობა სისხლიანი ამბებისათვის ამ ქვეყანაში.

ლიბერიის დელეგატმა წაიკითხა ანგოლიდან მიღებული კიდევ რამდენიმე დეპეშა, რომლებშიც აღწერილია კოლონიზატორთა სანინელი ტერორი. მან აღნიშნა, რომ უშიშროების საბჭოს არ შეუძლია ყურად არ იღოს ანგოლის ხალხის ხმა. მან განაცხადა, რომ აფრიკის ყველა სახელმწიფო გამოვა ანგოლის ხალხის დასაცავად, რომელიც გმირულად იბრძვის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

დასასრულ ბერნსმა მოითხოვა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომისია დაუყოვნებლივ წავიდეს ანგოლაში და ადგილობრივ შეისწავლოს მდგომარეობა, რომელიც ამ ქვეყანაში შექმნა. კონგოს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ანგოლის ხალხი სამართლიან ბრძოლას ეწევა თავისი დამოუკიდებლობისათვის, და ხაზი გაუსვა პორტუგალიის დელეგატის მოსაზრებათა უსაფუძვლობას, რომელიც „ადილობდა დაეტკიცებინა, რომ უშიშროების საბჭო უფლებამოსილი არ არის განიხილოს ანგოლის საკითხი.

კონგოს წარმომადგენლის გამოსვლით დამთავრდა დილის სხდომა.



ნიუ-იორკი, 9 ივნისი. საკდესის კორესპონდენტი ვ. ბოგაჩოვი იუწყება: უშიშროების საბჭო განაგრძობს ანგოლის მდგომარეობის საკითხის განხილვას, სადაც პორტუგალიელი კოლონიზატორები აწარმოებენ გამანადგურებელ ომს ამ ქვეყნის მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ.

გუშინდელ დღის სხდომაზე უშიშროების საბჭომ დაამყოფილა ეზიისა და აფრიკის მთელი რიგი ქვეყნების დელეგაციათა თხოვნა, რომ შესაძლებლობა მიეცეთ მათ მონაწილეობა მიიღონ ანგოლის საკითხის განხილვაში.

იმ მხეცობასთან შედარებით, რასაც პორტუგალიელი კოლონიზატორები სჩადიან ანგოლაში, განაცხადა ნიგერიის დელეგატმა ნგილერუმამ, ცინიზმი იქნება საეჭვოდ გავხადოთ უშიშროების საბჭოს უფლებამოსილება განიხილოს ანგოლის საკითხი. შეეხო რა კოლონიზატორთა მტკიცებას იმის შესახებ, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ანგოლაში თითქოს და „კომუნისტურია“, ნიგერიის დელეგატმა თქვა, რომ ეს მონაჭორები ვერავის ვერ მოატყუებს.

ეთიოპიის წარმომადგენელმა გაბრიელგზიმ მოითხოვა ანგოლას მიენიჭოს დამოუკიდებლობა და უშიშროების საბჭომ მხარი დაუჭიროს ამ ქვეყნის ხალხის ბრძოლას ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.

მალის წარმომადგენელმა ტრაორემ, შეეხო რა პორტუგალიელთა მხეცობას ანგოლაში, მოიყვანა პორტუგალიის კოლონიური არმიის ოფიცრის შემდეგი განცხადება, მან საფრანგეთის გაზეთს წარმომადგენელს განუცხადა: „ჩვენ გავანადგურებთ კიდევ ასი ათას ამ ცხოველს (ასე უწოდა მან ანგოლელებს. — რედ. შენიშვნა.) წვიმების პერიოდის დამთავრების შემდეგ“.

საფრანგეთის დელეგატმა ბერარმა, რომელიც, უნდა ითქვას, კოლონიურ სახელმწიფოდა პირველი წარმომადგენელი იყო, რომელიც ანგოლის საკითხზე გამოვიდა სამი დღის განმავლობაში, მოიწოდა უშიშროების საბჭოს წევრებს „ზომიერებისა და მოთმინებისაკენ“ ანგოლის ამბების განხილვის დროს. მეორე მხრივ, მან გულისწყრომა გამოთქვა „აგიტატორთა“ მიმართ, რომლებიც, მისი სიტყვით, „არეულობას თესავენ ანგოლაში“. ბერარმა ქება შეასხა პორტუგალიელ მონათმფლობელთა „სიბრძნესა და დიდსულოვნებას“ და იმასაც კი ამტკიცებდა, რომ ისინი შეძლებენ „განახორციელონ ანგოლაში“ არსებითი გარდაქმნები“.

ადენაუერის მოთხოვნა

ბონი, 8 ივნისი. (საკდესი). როგორც გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბიულეტენი „სოციალ-დემოკრატიულ პრესადენტი“ იუწყება, კანცლერმა ადენაუერმა მოითხოვა, რომ ბუნდესტაგს მიეცეს უფლება იქონიოს თავის განკარგულებაში ატომური იარაღი.

ამ განცხადებამ „ამარა დაბნეულობა გამოიწვია ბონში. ზოგიერთ წრეში შიშობენ, რომ იგი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისათვის არახელსაყარელ რეაქციას გამოიწვევს დასავლეთის გარკვეულ წრეებში და შეასუსტებს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის პოზიციას ბუნდესტაგის არჩევნებისათვის მზადების დროს.

კომუნისტი

მე-8 გვერდი, შაბათი, 10 ივნისი, 1961 წ.

ჟენევაში ჩავიდნენ სუვანა ფუმა და სუფანუვონგი

ჟენევა, 8 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს აქ ჩამოვიდნენ ლაოსის პრემიერ-მინისტრი პრინცი სუვანა ფუმა და პატრია ნეო ლაო ხაკ სატის თავმჯდომარე პრინცი სუფანუვონგი.

დავიცვათ კუბის რევოლუციის დროშა!

ჰავანა, 8 ივნისი. (საკდესი). ჩილის გაზეთი „სიგლო“ კომენტარს უკეთებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამერიკის შეერთებული შტატების მუდმივი წარმომადგენლის ედლაი სტივენსონის გამგზავრებას ლათინური ამერიკის ქვეყნებში, სადაც იგი ამჟამად მოგზაურობს როგორც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი და წერს, რომ ამ მოგზაურობის „მიზანია აიძულოს ლათინური ამერიკის ქვეყნები გამოვიდნენ კუბის წინააღმდეგ“.

შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, როგორც პრენსა ლატინას სააგენტო იუწყება სანტა-იაგოდან, რომ „მზარდი სახალხო მოძრაობა ჩვენი კონტინენტის ყველა ქვეყანაში ჩაფუშავს იმპერიალისტების აგრესიულ განაზრახს და შეძლებს ერთხელ კიდევ დაიცვას კუბის რევოლუციის დროშა“.

მეგობრობა თუ ძალადობა?

პარიზი, 8 ივნისი (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტო აქვეყნებს თავისი ლონდონელი კორესპონდენტის ფერნან მულეს კომენტარს ინგლისში კენედის ვიზიტის შესახებ. როგორც კომენტარიდან ჩანს, ამ ვიზიტმა ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ შეერთებული შტატები სულ უფრო აყენებენ ინგლისს თავიანთი უმცროსი პარტნიორის მდგომარეობაში.

„კენედის ვიზიტმა ინგლისის დედაქალაქში, რომელსაც ლონდონის გაზეთი „ტაიმსი“ ხაზგასმით უწოდებდა „ზრდილობის ვიზიტს“, — წერს კორესპონდენტი, — დაადასტურა ეს შთაბეჭდილება, საქმეს გაცნობილ წრეებში აღნიშნავდნენ, რომ სამი საათის საუბარი პირისპირ კენედისა და მაკმილანს შორის სრულიადაც არ იყო ისეთი მეგობრული, როგორც ამას ოფიციალურ ცნობებში ამტკიცებდნენ. პრეზიდენტმა კენედიმ აშკარად აგრძნობინა რომ არ თანაუგრძნობს ინგლისის მთავრობის მერყეობას როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიურ დარგებში.

მაკმილანი, მეორე მხრივ, ეუბნოდა ინგლისისა და შეერთებული შტატების ტრადიციული კავშირურთიერთობის შესუსტებას — კავშირურთიერთობისა, რომელიც 15 წლის მანძილზე დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებდა ინგლისის პოლიტიკაში. ფიქრობენ, რომ კენედის, პრეზიდენტ ეიზენჰაუერისაგან განსხვავებით, არ მიაჩნია ინგლისი მთავარ მოკავშირედ, რომელთანაც უნდა ეწიოდეს კონსულტაციას პირველ რიგში“.

ეხება რა „ექვსეულში“ ინგლისის შესვლის საკითხს, კორესპონდენტი წერს: „როგორც ფიქრობენ, კენედიმ უთხრა მაკმილანს, რომ საერთო ბაზარი კარგად მოქმედებს და რომ ინგლისმა აშკარად უნდა განაცხადოს, რომ განზრახული აქვს აწარმოოს მოლაპარაკება ამ ეკონომიურ გაერთიანებაში შესვლის შესახებ.

მაკმილანის სიძნელეებს კიდევ უფრო აღრმავებს ის ფაქტი, რომ ინგლისი ამჟამად ეკონომიურ და ფინანსურ კრიზისს განიცდის... ინგლისს, რომელსაც უკვე აკისრია ვალდებულებანი კონტინენტზე სამხედრო დარგში, როგორც ჩანს, აიძულებენ იკისროს აგრეთვე პოლიტიკური და ეკონომიური ვალდებულებანი.“

ლონდონი, 8 ივნისი. (საკდესი). გაზეთ „დეილი-ექსპრესის“ კორესპონდენტი დუგლას კლარკი დღეს წერს, რომ პრეზიდენტმა კენედიმ ძლიერი ზეგავლენა მოახდინა მაკმილანზე, რათა აიძულოს იგი უფრო აქტიურად შეუერთდეს „საერთო ბაზარს“. ინგლისს ეპყრობიან, წერს იგი ამასთან დაკავშირებით, როგორც შეერთებული შტატების ყველაზე უმცროს პარტნიორს. „პრემიერ-მინისტრ მაკმილანს, აცხადებს კლარკი, იმედი ჰქონდა, რომ კენედი გამოვა შუამავლის როლში, რათა „მღწეულ იქნეს ერთგვარი კომპრომისული გადაწყვეტილება. მაგრამ კენედიმ უთხრა მას, რომ მისი აზრით, დროა ინგლისმა ხელი მოაწეროს რომის ხელშეკრულებას, რომელიც საერთო ბაზრის საფუძველია, ხელი მოაწეროს რაიმე პირობის დაუთქმელად და მხოლოდ შემდეგ მოითხოვოს დაუყოვნებელი მოლაპარაკება მთავრობებს შორის“.

ა. ა. გრომიკო ჟენევაში

ჟენევა, 9 ივნისი, საკდესის სპეც. კორესპონდენტი იუწყება: გუშინ გვიან საღამოს აქ თვითმფრინავით ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო.

ა. ა. გრომიკომ უპასუხა კორესპონდენტთა კითხვებზე და თქვა, რომ თუ ლაოსის შესახებ თათბირის ყველა მონაწილეს აქვს სურვილი, შეიძლება მივაღწიოთ შეთანხმებას ამ პრობლემაზე. აქვთ თუ არა დასავლეთის საზელმწიფოებს შეთანხმების სურვილი, ამას მომავალი დაგვანახებს, დასძინა მან.

გოლვიის ამგვეგი

ნიუ-იორკი, 8 ივნისი. (საკდესი). ბოლივიაში გამოცხადებულია მიმდინარე წელს სთვალავით მეორე საალეო წესები, რაც გამოწვეულია მასობრივი გაფიცვებით ამ ქვეყანაში. იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის კორესპონდენტი იუწყება, რომ სატელეგრაფო კომპანიის მუშაკთა გაფიცვის გამო კავშირი ბოლივიასთან შეწყვეტილია. ბოლივიაში დაიხურა ყველა სკოლა. ჯატლისა და სიგლოს ნაციონალიზებული ქვანახშირის მაღაროების მუშებმა მოიწყეს ექვსი საათის საპროტესტო გაფიცვა იმის გამო რომ მათ უარი უთხრეს ხელფასის მიცემაზე.

„მიგდებულ ბავშვთა ბაზარი“

ინგლისში განლაგებულ ამერიკის სამხედრო ბაზებში მომსახურე ამერიკელ სამხედრო პირთა ოჯახებს უყვართ ინგლისური ნივთების შეძენა. მათ ინტერესს ფართო დიაპაზონი აქვს—მოდური ქუდიდან ხელოვნების უნიკალურ ქმნილებებამდე. მაგრამ ზოგიერთი ამერიკელი მარტო ინგლისური ნივთებით როდია დაინტერესებული. მათ სურვილი აქვთ აგრეთვე ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიყვანონ ინგლისელი ბავშვები.

ამას წინათ ლონდონის გაზეთებმა გამოაქვეყნეს ცნობა, რომ პატარა ქალაქ კინგს-ლინში, რომელიც ამერიკის საავიაციო ბაზის მახლობლად მდებარეობს, მცხოვრებმა ცხრა მარტოხელა დედამ გადაწყვიტა ამერიკელთა ოჯახებისათვის გადაეცა თავიანთი ბავშვები. ჯოის რენდოლმა, რომელიც ადგილობრივ მუნიციპალიტეტში „საზოგადოებრივი მორალის საკითხებზე“ მუშაობს, განაცხადა, ასეთი პრაქტიკა ინგლისში ფართოდ არის გავრცელებული.

გაზეთი „დეილი მირორი“ სათაურში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ინგლისში განლაგებულ ამერიკის სამხედრო ბაზებთან „შექმნილია მიგდებულ ბავშვთა ბაზარი“.

ცხოვრება აიძულებს

დასავლეთ გერმანიის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობები დღითიდღე უარესდება. წელს უკვე სამჯერ გაიზარდა სასურსათო და სამრეწველო საქონლის ფასები.

უკიდურეს გაჭირვებას თავს რომ ვერ აღწევს, ბევრი გერმანელი თვითმკვლელობამდე მიდის. როგორც გაზეთი „ბერლინერ ცაიტუნგი“ იტყობინება, ამას წინათ დასავლეთ ბერლინში ერთ ღამეში თვითმკვლელობის 11 შემთხვევა მოხდა.

...გვიან ღამით შინ (შკალიცერშტრასე, 43) დაბრუნებულ ჩვიდმეტი წლის ქრისტინას კარი დაეტეღილი დახვდა. იგი მაშინვე მიხვდა, რომ უბედურება დაატყდა თავს, და მეზობლებს დაუძახა. როდესაც კარი შეამტვრიეს, ოთახში ქრისტინას დედის გვამი იპოვნეს, რომელსაც თავი გაზით მოეწამლა. მაგიდაზე ასეთი შინაარსის წერილი იდო: „მაპატიე ჩემო გოგონა, რომ სიკვდილი ვარჩიე სხეულის გაყიდვას, ურომლისოდაც ჩემთვის სამუშაოს მოვნა შეუძლებელი გახდა“.

იმავე ღამეს კარშტრასეზე მესამე სართულის ფანჯრიდან თვითმკვლელობის მიზნით გადმოვარდა 35 წლის ქალი.

ბონელი მინისტრები კი ძველებურად გაჰკივიან დასავლეთ გერმანიაში „ცხოვრების დონის ამაღლებაზე“.

კაპიტალის ქვეყნებში

სამი დღის განმავლობაში ჰოლანდიის გზებზე მოძრაობდა ველოსიპედისტთა და მოტოციკლისტთა კოლონა, მიდიოდნენ ავტობუსები და ავტომანქანები. დემონსტრანტები პროტესტს აცხადებდნენ ჰოლანდიაში ატომური იარაღის განლაგების წინააღმდეგ.

ლაშქრობის მესამე დღეს კოლონა მიუახლოვდა დედაქალაქის განაპირა უბანს, მას გზა გადაუღობა პოლიციის კორდონმა, ხელისუფალთა განკარგულებით პლაკატებიდან უნდა მოეხსნათ სიტყვა ნიდერლანდი და ამერიკული ბაზის სახელწოდება.

ამის პასუხად დემონსტრანტები დაცინვით გაიძახოდნენ: „გაუმარჯოს ნეგენს დემოკრატიას. ბუ-უ-უ!“ (ხიზლის გამომხატველი შეძახილი). დემონსტრანტები დედაქალაქის ქუჩებში შეეღენენ განზრახ დახეული ლოზუნგებით. საღამოს გაიმართა დიდი მიტინგი, რომელზეც გამოვიდნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწეები. მათ მოუწოდეს ჰ

კომუნისტი
სპორტი

ფიქრები ფეხბურთზე

ჯავშანგამტან ყუმბარას ერთი თავისებურება აქვს. ლითონის რბილი პერანგით შემოსილია მეტისმეტად მაგარი ბირთვი. მიზანში მოხვედრების დროს პერანგი თითქოს ეკვრის ჯავშანს, ხოლო ბირთვი, ინერციის მეოხებით, დამატებითს ენერგიას „რომ მიიღებს, ხვრეტს მიზანს. როცა **„თბილისის დინამოელთა** თამაშს უყურებ მიმდინარე სეზონში, იმ დასკვნამდე მიდიხარ, რომ გუნდს არა აქვს ასეთი მაგარი ბირთვი.

ჩვენ ხშირად ვამბობთ, ტექნიკა შეჯიბრებებში გადამწყვეტი ფაქტორიაო. ვერავინ ვერ გაბედავს იმის მტკიცებას, რომ ქართველი ფეხბურთელები ჩამორჩებიან ტექნიკაში მეტოქეებს. უფრო მეტიც, მათი ტექნიკური ოსტატობა „ა“ კლასის ყოველ გუნდს შეშურდება. მაშასადამე, უფლება გვაქვს მოვთხოვოთ თბილისელებს მაღალი შედეგები.

თეორიის თვალსაზრისით ეს კანონია. მაგრამ პრაქტიკა ხშირად აბათილებს თითქოს ყველაზე ტრუკულ კანონებს. დამთავრდა წინასწარ შეხვედრათა პირველი წრე, თბილისელებმა კი დიდი გაჭირვებით მოიპოვეს უკანასკნელისწინა ადგილი ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატის ლიდერების ათეულში.

მე შეიძლება არც ისე ბევრი მატჩი მინახავს თბილისის „დინამოს“ მონაწილეობით, მაგრამ ყოველთვის ვრწმენდებოდი ჩემს სიმართლეში — **გუნდს დაუკარგავს თავისი მონოლითური ბირთვი.** ტრიბეი, ტაღრესად რთული კომბინაციები, ჩინებული დრიბლინგი, შესანშნავი ფინტები — ყველაფერი მიძართულია ერთი მიზნისაკენ: დაამბიოს მოწინააღმდეგე, დააკარგვინოს მას საკუთარი თავისადმი კონტროლი. თბილისელებს ხშირად ავიწყდებათ, რომ მათი მოქმედება, რა ლამაზიც უნდა იყოს იგი, ვერ წყვეტს მთავარ ამოცანას — გამანადგურებელი დარტყმა მიაყენონ მოწინააღმდეგეებს. ხარჯავენ რა უდიდეს ენერგიას იმისათვის, რომ მოწინააღმდეგენი დაამბიონ, ისინი თავიანთი გუნდის თავდამსხმელებს თითქოს უკარგავენ ენერგიას, რომელმაც ბირთვივით უნდა გაარღვიოს თავდაცვის უკანასკნელი ზღუდე.

ნათქვამის დასასაბუთებლად მოვიყვან რამდენიმე ციფრს. თბილისელი დინამოელები უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი იყვნენ. ამჟამად ათეულში ისინი მერვე ადგილზე არიან. ყველაზე მარჯვე სნაიპერებს შორის, როგორც წესი, ითვლებოდნენ ზ. კალოევი და თ. მელაშვილი. მიმდინარე სეზონის დასაწყისშიც კალოევმა სწრაფად იწყო ქულების დაგროვება. პირველ სამ მატჩში მან ოთხი ბურთი გაიტანა. სამაგიეროდ დანარჩენ შვიდ თამაშში მოწინააღმდეგეთა მეკარეები მხოლოდ ორჯერ გახდნენ იძულებულნი გამოეტანათ ბურთი ბადიდან ცენტრალური თავდამსხმელის დარტყმის შემდეგ.

კიდევ უფრო საოცარია მელაშვილის მეტამორფოზა. ოდესღაც მრისხანე თავდამსხმელმა პირველ წრეში მხოლოდ ერთი ბურთი გაიტანა. კომბინაციური თამაშისათვის მას განსაკუთრებული მონაცემები არა აქვს და იგი, ისევე როგორც მისი პარტნიორები, ძირითადად ცდილობს ააწყოს თავდასხმა თამაში. იმის შედეგად, რომ ფეხბურთელებმა იწყეს შეცვლა თამაშის მანერაში, რომელიც მხოლოდ მათთვის არის ღამახასიათებელი, თბილისის დინამოელებს არ აღმოაჩნდათ ბირთვი, რომელსაც შეუძლია ყოველ მომენტში მოახდინოს გადამწყვეტი დარტყმა.

ბირთვის დარღვევაში მცირე როლი როდი შეასრულეს შ. იამანიძემ და შ. მესხმა. პირველი მათგანი, რა ადგილზეც არ უნდა თამაშობდეს, ცდილობს თავსნებას დაუმორჩილოს პარტნიორები. ივიწყებს, რომ მისი მოვალეობაა შეკმნას პირობები, რომლებიც კალოევისა და მელაშვილისათვის უზრუნველყოფენ მიზანში დაუბრკოლებლად დარტყმის შესაძლებლობას.

იგივე შეიძლება ითქვას მესხზე, თუმცა იგი სხვა სახით მოქმედებს. ჩვენ ყველანი ვაფასებთ ამ თავდამსხმელს და გვიყვარს იგი ბუნებრივი ნიჭისათვის. მაგრამ ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდის მწვრთნელებსაც კი ხმირად აოცებთ, იგი რატომ ასე იოლად და ფუჭად ფლანგავს თავის ძალებს მესხი. მისი თავშეკავება იწვევს უზომოდ გატაცებას ფინტებით. მაგრამ მესხის მთავარი უბედურება კიდევ ის არის, რომ თუ ბურთი არ მიიღო, იგი დაუყოვნებლივ გამოეთიშება. ხოლმე თამაშს და „პატიოსნად“ დგას თავის ფლანგზე მთელი ორმოცდახუთი წუთის განმავლობაში.

წინასწარი თამაშების პირველი წრის მიმოხილვა ტუტალ კი არ დავიწყე სიტყვებით ჯავშანგამტან ყუმბარასა და მის ბირთვზე. ნლევანდელ სეზონში თბილისის „დინამოს“ გუნდში არ აღმოჩნდა ბირთვი — ის ძალა, რომელიც ტონს იძლევა და ყველა მოთამაშის ღონისძიებებს აერთიანებს. რომ დავაყენო კითხვა, ვინ არის გუნდში ორგანიზატორი, წამყვანი მოთამაშე, ამ კითხვაზე ვერავინ ვერ მოგვცემს პირდაპირ პასუხს — ვერც მწვრთნელები და ვერც თბილისელთა გულშემატკივრები.

ამას წინათ ვესაუბრე სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის მთავარ მწვრთნელს, სპორტიო დამსახურებულ ოსტატს მ. იაკუშინს. მას ნანახი აქვს თბილისელთა უკანასკნელი მატჩები. ბუნებრივია, რომ მასაც მოეცვა ასეთი კითხვა. პასუხი მოულოდნელი აღმოჩნდა: „ყველა და არავინ!“ ამ გუნდის ბირთვებმა, მიუხედავად თბილისელთა მაღალი ტექნიკური ოსტატობისა, გამოიწვია ის, რომ მათ **თავიანთი სტილი დაკარგეს** და ამასთან ჩემპიონატის ლიდერს — მოსკოვის ტორპედოელებს შვიდი ქულით ჩამორჩნენ.

ნლევანდელ სეზონში ვერც **ავტოქარხნელები** გვიჩვენებენ მაღალი კლასის თამაშს, რომლითაც ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ აღტაცებული იყვნენ ფეხბურთის ნამდვილი დამფასებელნი. ამ გუნდის ოდესღაც მრისხანე თავდამსხმელებმა წელს მოახერხეს შვიდ შეხვედრაში მხოლოდ თითო ბურთი გაეტანათ. მართალია, თავდაცვის ხაზმა, რომელმაც ბრძოლის მთელი სიმძიმე გადაიტანა, ჩინებული თამაშით შესაძლებლობა მისცა თავის გუნდს მოეგო ხოლმე შეჯიბრება ერთი ბურთის განსხვავების დროსაც.

უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი ქვეყნის ჩემპიონს შეიძლებოდა კიდევ რამდენიმე ქულა დაეკარგა, ერთი ბედნიერი გარემოება რომ არა. წილისყრის თანახმად ავტოქარხნელებს არც ერთი მატჩი არ ჩაუტარებიათ შესუსტებული შემადგენლობით, ე. ი. იმ პერიოდში, როცა ძირითად მოთამაშეთა ნაწილი ჩვენი ქვეყნის ნაკრებ გუნდში გამოდიოდა.

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ თანავუგრძნოთ **კიევის „დინამოს“**, საინტერესო, დიდი მომავლის მქონე კოლექტივს. იმ მომენტში, როცა ვ. ლობანოვსკი და ი. ვოინოვი ჩვენი ქვეყნის ნაკრებ გუნდში წვრთნას გადიოდნენ და თამაშობდნენ, ძირითად შემადგენლობას ტრავმის გამო გამოაკლდა კიდევ ორი ფეხბურთელი — ო. ბაზილევიჩი და ვ. კანევსკი. განსაკუთრებით საგრძნობი იყო ამ უკანასკნელის გამოკლება — იგი ახლა თავდასხმის წამყვანი მოთამაშეა. სწორედ ამ პერიოდს ეკუთვნის კიეველების ორი დამარცხება — მოსკოვის „სპარტაკისა“ და „პახტაკორისაგან“.

მიმდინარე წელს ლიდერების რიცხვში შევიდნენ კიდევ ის კოლექტივები, რომლებიც ამ ცოტა ხნის წინათ მხოლოდ ერთ მიზანს ისახავდნენ: არ მოხვედრილიყვნენ იმათ რიცხვში, ვინც პირველ ეშელონს დატოვებს. სენსაციაა? არა! ეს კანონზომიერებაა. წამყვანი კოლექტივების სუსტი თამაშით განპირობებული. ყოფილმა აუტსაიდერებმა, რომლებსაც სხვა გუნდების წინაშე უპირატესობა არა აქვთ ტექნიკის, ტაქტიკისა და ფიზიკური მოამზადების მხრივ, მაინც შეძლეს მაღალი ადგილები დაეკავებინათ. ეს პირველ რიგში იმით აიხსნება, რომ ამ კოლექტივების მწვრთნელებმა შეძლეს ჩაენერგათ ფეხბურთელთათვის დისციპლინა წვრთნასა და თამაშში.

ამ გუნდების თამაშში ვერ ნახავთ რაიმე გონებამახვილურ კომბინაციებს, ხოლო ფეხბურთელთა მოქმედებაში მაღალ ტექნიკურ ფინტებს. მოთამაშენი ზუსტად ცავენ მწვრთნელის ტაქტიკურ წინასწარდასახულებას, ყურადღებით ადევნებენ თვალს მეტოქეთა განზრახვებს და ცდილობენ ითამაშონ უბრალოდ, მაგრამ საიმედოდ. და ეს უბრალოება საშეაღლებას აძლევს მათ გამარჯვებული გამოვიდნენ აშკარად უფრო ძლიერ მოწინააღმდეგეებთან შეხვედრებში.

უბრალოებაზე. რომ დავიწყოთ ლაპარაკი, არ შეიძლება არ შევჩერდე კიდევ ორ გუნდზე, რომლებიც ლიდერთა ათეულში შევიდნენ. როგორც ზამთარი განსხვავდება ზაფხულისაგან, ისე **მოსკოვის „სპარტაკი“** განსხვავდება **ცსკა-საგან.**

სპარტაკელები ცდილობენ ითამაშონ იმავე მარეოით, როგორც ხუთი-შვიდი წლის წინათ. ნელა, თითქოს უხალისოდ აწყობენ კომბინაციებს, მაგრამ ჩანაფიქრის შესრულება შინ სიზუსტე აკლიათ. სტილი რომ შეინარჩუნონ, ამისათვის მარტო სურვილი არ კმარა, საჭიროა მაღალი კლასის შემსრულებლებიც. ასეთები „სპარტაკს“ ჯერ არა ყავს.

უფრო უბრალოდ თამაშობენ მოსკოვის არმიელები, მაგრამ ეს ვითომდა უბრალოება მოწინააღმდეგეს ატყუებს. არმიელთა მთელ მოქმედებაში იგრძნობა მწვრთნელის კ. ბესკოვის მკაცრი წარმმართველი ხელი. მან მოკლე დროში შეძლო ძირეულად შეეცვალა ცსკა-ს თამაშის მანერა. ეს ცვლილება იმდენად დიდია, რომ ისეთი გამოცდილი ფეხბურთელები, როგორიც ი. კოვლოვი და ვ. ბუბუკინი არიან, არმიელთა ანსამბლში ვეღარ ჩანან. და ეს მაშინ, როცა ბუბუკინი სსრ კავშირის ნაკრები გუნდის ძირითადი მოთამაშეა!

ცსკა-ს თამაშის უბრალო მომქმედნი მანერა მკვიდრ ტექნიკურ საძირკველს ეკრდნობა. სწორედ ამიტომ კომბინაციები, რომლებსაც გუნდი ახორციელებს, გეხიბლავენ დამთავრებულობითა და სიმწვავით. არმიელთა გუნდს მომაელის გუნდი უნდა ვუწოდოთ. ყოველ შემთხვევაში უკვე ახლა ვ. ამბარცუმიანი შეიძლება ჩვენი ქვეყნის საუკეთესო თავდამსხმელთა გვერდით დავაყენოთ. გავა ცოტა ხანი, და ჩვენი ფეხბურთი შეიძენს კიდევ ერთ ჩინებულ ოსტატს — ვ. ფედოტოვს.

ეგრებად, შეგაჯამოთ პირველი წრის შედეგები. მაგონდება, რამდენი გულთბილი სიტყვა და მხურვალე სურვილები გამოითქვა თბილისის „დინამოს“ მისამართით. ჯერჯერობით ქართველმა ფეხბურთელებმა ვერ გაამართლეს იმედები, რომლებსაც მათზე ამყარებდნენ. მაინც მინდა მეგეროდეს, რომ თბილისელები გაითვალწინებენ წლევანდელი სეზონის დასაწყისში მიღებულ მეცარ გაკვეთილებს, და მათი დახვეწილი, ტემპერამენტიანი ოსტატობა კვლავ იჩენს თავს, რომ გუნდი კვლავ აელვარდება, როგორც პირველი სიდიდის ვარსკვლავი.

ა. ლეონტიევი,
სპორტის ოსტატი.

„სოვეტსკი სპორტის“ ფეხბურთის მამომხილველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულითადი საუბარი.

ფოტოტიუდი ბ. სოკოლოვისა.

ა. ანტონოვსკაია მეტალურგებთან

რუსთავი. (საკ. კორ.). მეტალურგთა ქალაქს ამ დღეებში სტუმრად ეწვივნენ ცნობილი საბჭოთა მწერლები ა. ანტონოვსკაია და ბ. ჩორნი. მათ გადაწყვეტილი აქვთ სკკპ XXII ყრილობას მიეძღვნან სქელტანიანი წიგნი მზიური საქართველოს ადამიანებზე.

ამ წიგნში ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილს დაიჭერს ნარკვევები ცნობილ ქართველ მეტალურგებზე ა. ფანცულაიასა და ც. გოლეთიანზე.

სტუმრებმა დაათვალიერეს მეტალურგიული ქარხნის საამქროები. იყვნენ მომავალი წიგნის გმირებთან ა. ფანცულაიასთან და ც. გოლეთიანთან. მეტალურგთა შთაბეჭდილების წიგნში ა. ანტონოვსკაიამ და ბ. ჩორნმა თავიანთი შთაბეჭდილება ასე გამოხატეს:

„ქალაქ რუსთავს, რომელიც ზრდის ამირან ფანცულაიას მსგავს მეფოლადე ვაუკაცებს, მომავლის მზვერავებს, ჩვენი აღფრთოვანება და სალამი“.

ლენინგრადი — რუსთავი

რუსთავი. (საკ. კორ.). რამდენიმე დღის განმავლობაში ეცნობოდნენ ლენინგრადელი მეტალურგები ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიულ ქარხანას. ლენინგრადელი მეტალურგები რუსთავში ჩამოვიდნენ შემოქმედებითი მივლინებით. მათ შეისწავლეს ქართველი მგლინავების მუშაობის გამოცდილება, სიახლენი.

დასასრულ რუსმა და ქართველმა მეტალურგებმა მოილაპარაკეს საფუძველი ჩაუყარონ სოციალისტურ შეჯიბრებას და უფრო მჭიდრო საწარმოო კავშირი დაამყარონ ერთმანეთთან.

სასამართლოს დარბაზიდან

მკვლელი

პატიოსანი, ალალ შრომას გაურბოდა, სამაგიეროდ ლოთობასა და ქურდობაცობაში ატარებდა დღეებს წულუკიძის რაიონის სოფელ გუბის მცხოვრები ლევან სილოვანის-ძე კორძაძე. მრუდე გზაზე სიარულმა მას ფეხი წაატეხინა, ორჯერ პატიმრობაშიც იმყოფებოდა.

მაგრამ ლ. კორძაძემ არ იქნა და არა, საჭირო დასკვნები ვერ გააკეთა. ერთ დღეს საბოლოოდ აიწყვიტა თავი, ფეხმძიმე მეუღლე ლეილა ჩარგეშვილი ვერაგულად მოკლა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ გარეშერ ლ. ს. კორძაძეს სასჯელის უმაღლესი ზომა **დახვრეტა** მიუსაჯა.

განაჩენი ლ. ს. კორძაძის მიმართ მოყვანილია სისრულეში

ჯ. კვარაციხელი.

რედაქტორი

დ. მჭედლიშვილი.

ავთანდილ ქორიძის მეორე ტრიუმფი

სასიხარულო ამბავი მოიტანა ტელეგრაფმა იაპონიიდან. XVII ოლიმპიური ასბარეზობის ჩემპიონმა საბჭოთა სპორტსმენმა ავთანდილ ქორიძემ მსოფლიო პირველობაზე კლასიკურ ჭიდაობაში ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა. ათი წელი ეწეოდა იგი სპორტს, სანამ სახელს მოიხვეჭდა რომსა და იოკოჰამაში.

...ავთანდილი ჯერ კიდევ ბავშვი იყო, რომ თავისი სოფლის მოჭიდავე უყმწვილებს საუკეთესო „ფალავნად“ მიაჩნდათ. თავიდანვე გატაცებით ესწრებოდა ყოველ კვირა დღეს სოფლის მოედანზე გამართულ მოჭიდავეთა შერკინებას, გულის ფანცქალით ადევნებდა თვალყურს გამოცდილ სპორტსმენთა თავბრუდამხვევი ტემპით ჭიდაობასა და ილეთებს.

მალე ოჯახი თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად. ერთხელ ავთანდილმა შეიტყო, რომ მისი სკოლის ამხანაგები იაშა მამისთვალოვი და თანამოგვარე ზურიკო ჭიდაობის სექციაში ვარჯიშობდნენ. ავთანდილმა სთხოვა მათ, წამიყვანეთო.

ჭიდაობის სექციის ხელმძღვანელმა პეტრე ანდრიას-ძე იორდანიშვილმა ყურადღებით შეხედა თხუთმეტი წლის ჩასკვნილ ენერგიულ ბიჭს და უთხრა:

— კეთილი, შეგიძლია იარო მეცადინეობაზე. მხოლოდ იცოდე, სკოლაში ფრიადებზე უნდა ისწავლო.

ეს იყო 1950 წელს. გადიოდა დღეები, თვეები. ახალბედა გულდასმით მეცადინეობდა. ყველაფერს, რასაც აჩვენებდა და მოითხოვდა მწვრთნელი, იგი კეთილსინდისიერად და წესიერად ასრულებდა. პირველი „სპორტული ნათლობა“ მან მიიღო 1952 წელს სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა შეჯიბრებაზე ქალაქ ივანოვოში, სადაც მეოთხე ადგილი დაიკავა. საერთაშორისო ასპარეზზე პირველად მიიღო მონაწილეობა ახალგაზრდობის მეგობრულ სპორტულ შეჯიბრებებში 1957 წელს მოსკოვში, სადაც მან ოქროს მედალი მოიპოვა. ორი წლის შემდეგ ახალგაზრდა მოჭიდავემ **მონაწილეობა** მიიღო იუგოსლავიის ადრიატიკის თასის გათამაშებაში და პირველი ადგილი დაიკავა.

1960 წელს საქართველოში პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი ავთანდილ ქორიძე სსრ კავშირის ოლიმპიური გუნდის კანდიდატად ჩარიცხეს. ქართველმა სპორტსმენმა, რომელმაც ჩინებულად დაამთავრა საკონტროლო შეხვედრები, რომის საგზური მოიპოვა. მისი გამოსვლები მოსენციის ბაზილიკის ხალიჩებზე ტრიუმფული იყო. ექვსი შერკინებიდან მან ორი მოგო წმინდად, სამი — ქულებით და ერთი ფრედ დაამთავრა. ამის შედეგად მან მოიპოვა ჩემპიონის ოქროს მედალი მსუბუქ წონაში.

რამდენიმე ხნის შემდეგ ავთანდილ ქორიძე კვლავ ვარჯიშობს. შრომისმოყვარე სპორტსმენი ახალი შერკინებისათვის ემზადება. ამ მზადების შედეგები უკვე ცნობილია.

იოკოჰამის ხალიჩებზე ა. ქორიძემ კვლავ დაადასტურა უძლიერესის სახელი. ძნელი გადმოსაცემია მოჭიდავის გრძნობები, როცა იგი საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე იდგა იაპონიის კეიოს უნივერსიტეტის ტანვარჯიშის დარბაზში. 26 წლის თბილისელს ხელში ეჭირა ჩემპიონის ოქროს მედალი. მისი გამარჯვების აღსანიშნავად ფლაგშტოკზე აფრიალდა ჩვენი სამშობლოს წითელი ალმა, ხოლო ორკესტრმა შეასრულა სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნი.

მოსკოვი, 8 ივნისი. (საკ-ფესი).

„რუსეგმა მოხიგლეს იოკოჰამა“

იოკოჰამა, 9 ივნისი. („კომუნისტის“ სპეც. კორ.). სპორტული აქიოტაჟი, ან, როგორც იტყვიან, ციებ-ცხელება დაცხრა. ახალმა ჩემპიონებმა ალაბი დაუშვეს, მაგრამ ბრძოლის ეს დღეები არა მარტო სპორტსმენებს, არამედ ჭიდაობის ათასობით მოყვარულ დიდხანს არ დაავიწყდებათ.

როგორ განაწილდა გუნდური ადგილები? კლასიკურ ჭიდაობაში პირველ ადგილზე გამოვიდა სსრ კავშირის გუნდი, რომელმაც ხუთი ოქროს და ერთი ვერცხლის მედალი მოიპოვა და 38 ქულა შეაგროვა. მომდევნო ადგილები დაიკავეს თურქეთმა (27,5 ქულა), რუმინეთმა (23,5 ქულა), უნგრეთმა (15 ქულა), იუგოსლავიამ (12 ქულა), ამერიკის შეერთებულმა შტატებმა (8,5 ქულა), ირანმა (8 ქულა). თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში შეგროვებულ ქულათა ჯამის მიხედვით უფლიერესად აღიარებულია სსრ კავშირის მოჭიდავეთა კოლექტივი, რომელმაც 71 ქულა შეაგროვა. თურქეთს აქვს 53,5 ქულა, ირანს — 49 ქულა, უნგრეთს — 29, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მე-6 ადგილი დაიკავეს, იაპონიამ — მე-7.

იაპონიის გაზეთები ყოველდღიურად დიდ ადგილს უთმობდნენ თავიანთ ფურცლებზე ჩემპიონატის მსვლელობას, დაწვრილებით აღწერდნენ საინტერესო ორთაბრძოლებს ასეთი ინშლაგით — „რუსებმა მოხიბლეს იოკოჰამა“. სპეციალისტების აზრით, კლასიკურ ჭიდაობაში ჩემპიონატის დასაწყისში საბჭოთა კავშირს მხოლოდ სამ ოქროს მედალს უწინასწარმეტყველებდნენ. ამის საპასუხოდ გაზეთებმა აღნიშნეს — „რუსმა გოლიათებმა გაამთელეს ეს პროგნოზები“, „შვიდი ოქროს, ოთხი ვერცხლის და ერთი ბრინჯაოს მედალი — ასეთია საბჭოთა სპორტსმენების შედეგი, რომლებმაც ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბეს“.

ჩემპიონატის დღეებში მიმდინარეობდა ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის სხდომები. ერთ-ერთ ასეთ სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ 1962 წლის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში შემდგარიყო სოფიაში, ხოლო კლასიკურ ჭიდაობაში — პოლონეთში, მაგრამ ახლა ეს გადაწყვეტილება შეიცვალა. 1962 წლის პირველობის გათამაშება როგორც თავისუფალ, ისე კლასიკურ ჭიდაობაში გაიმართება ქალაქ ტოლეოდოში (ოპაიოს შტატი, ამერიკის შეერთებული შტატები), ხოლო 1963 წლის მსოფლიო პირველობის გათამაშება თავისუფალ ჭიდაობაში მოეწყობა ბულგარეთში, კლასიკურ ჭიდაობაში კი შვეიცარიაში.

დღეს, 9 ივნისს, საბჭოთა მოჭიდავეები სამშობლოში გაემგზავრნენ.



სურათზე: თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „ბურევესტნიკის“ შეხვედრის მომენტი.

ფოტო ბ. დადვაძისა.

სპორჯული ამბები, ცნობები, ფაქტები

„გრემიო“ მოსკოვში

11 ივნისს მოსკოვში საბჭოთა კავშირის კლუბების ნაკრების წინააღმდეგ ითამაშებს ბრაზილიის რიო-გრანდეს შტატის ჩემპიონი „გრემიო“. ეს იქნება საბჭოთა ფეხბურთელების საწვრთნელი მატჩი მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრების წინ.

„გრემიო“ უკვე თვენახევარია გასტროლებზეა ევროპაში. მისი პირველივე მატჩი სენსაციური შედეგით დამთავრდა. სოფიაში ბრაზილიელებმა ანგარიშით 5:1 დაამარცხეს ბულგარეთის მბავალგზის ჩემპიონი, ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი „ცდნა“. ორი დღის შემდეგ ბულგარეთის ნაკრებმა ანგარიშით 2:1 რევანში აიღო ჩემპიონის დამარცხებისათვის. ამის შემდეგ ბრაზილიელებმა წარმატებით ჩაატარეს გასტროლები პოლონეთში და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. ჰამბურგში „გრემიომ“ გამანადგურებელი ანგარიშით 5:0 დაამარცხა ადგილობრივი გუნდი „ალტონა“.

„გრემიოს“ შემადგენლობაში არ არიან ბრაზილიის ნაკრების ფეხბურთელები, მაგრამ გუნდი თამაშობს თანაბრად და ძლიერად. მის მოთამაშეებს მაღალი ტექნიკა აქვთ.

ჩვენი ქვეყნის ნაკრები გამოვა ასეთი შემადგენლობით: ლ. იაშინი, ა. მედაკინი, ა. მასლიონკინი, გ. ჩოხელი, ვ. ვორონინი, ი. ნეტო, ს. მეტრეველი, ვ. ივანოვი, ვ. პონედელნიკი, ვ. ბუბუკინი, მ. მესხი.

ROსტოვის საერთაშორისო ტურნირი

დონის როსტოვი, 8 ივნისი. (საკდესი). დღეს დილით ჩიგორინის ხსოვნის ტურნირზე გათამაშდა ტაიმანოვ-ხოდოსის ერთადერთი დარჩენილი დაუმთავრებელი პარტია.

გროსმაისტერს ჰქონდა ზედმეტი პაიკი, მაგრამ ხოდოსი ოსტატურად იცავდა თავს. 57-ე სვლაზე მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

დონის-როსტოვი, 9 ივნისი. (საკდესი). დღეს დილით ჩიგორინის ხსოვნის ტურნირზე გათამაშდა დაუმთავრებელი პარტიები.

ნეიმეტდინოვმა (სსრ კავშირი) თამაშის გადადებისას წარუმატებელი სვლა ჩაწერა და მას მალე მოუგო საბჭოთა დიდოსტატმა პოლუგაევსკიმ.

ტაიმანოვმა (სსრ კავშირი) ზუსტად გაინაღდა თავისი უპირატესობა და მოუგო ურუგვაის ჩემპიონს ესტრადას.

9 ტურის შემდეგ ლიდერია ტაიმანოვი, რომელმაც 7 ქულა მოაგროვა.

დონის როსტოვი, 9 ივნისი. (საკდესი). ჩიგორინის ხსოვნის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე მე-9 ტური გაბრძოლა.

ყაიმით დამთავრდა ეიტელკი (ჩეხოსლოვაკია) - დროზდის (პოლონეთი), ლიბერტ (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) - ჩორიჩის (იუგოსლავია) და საბჭოთა მოჭადრაკეების ხოდოსისა და ტარასოვის პარტიები.

გადადებულია ნეიმეტდინოვ - პოლუგაევსკის (ორივე სსრ კავშირი), ბობეკოვ (ბულგარეთი) - პონდარევსკის (სსრ კავშირი) და ესტრადა (ურუგვაი) - ტაიმანოვის (სსრ კავშირი) პარტიები.

თბილისის „დინამო“ — ლიდერი

გუშინ მრავალ მაყურებელს მოეყარა თავი თბილისის ფიზკულტურის პარკის საცურავი აუზის ტრიბუნებზე. მოუთმენლად ელოდნენ უძლიერესთა შეხვედრას. თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „ბურევესტნიკის“ მატჩის შედეგმა არსებითად უნდა გადაწყვიტოს, რომელი კოლექტივი გახდება ქვეჯგუფში ერთპიროვნული ლიდერი.

პირველად ერთმანეთს ხვდებიან კიევის „ბურევესტნიკისა“ და ლენინგრადის „სპარტაკის“ წყალბურთელები. კიეველები აქტიურად ებრძვიან და იგებენ შეხვედრას ანგარიშით 4:2.

„ტრუდის“ (მოსკოვის ოლქი) და მინსკის „ბურევესტნიკის“ შეხვედრა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. თამაშის ბოლოს მოსკოველ ოლქის სპორტსმენებმა შეძლეს გადამწყვეტი ბურთის გატანა და მოიგეს შეხვედრა 3:2.

წყალში არიან თბილისის „დინამოს“ და მოსკოვის „ბურევესტნიკის“ სპორტსმენები. დინამოელები გამოდიან ძირითადი შემადგენლობით: გოგოლაძე, ჩიქვანაია, ჭიჭინაძე, მეგედი, გვახარია, ჩხიკვაძე, მიმინოშვილი. მსაჯის სასტვენი და აუზის ცენტრში ბურთს პირველად თბილისელი მიმინოშვილი ეუფლება. თბილისელები ფართო ფრონტით უტევენ მოწინააღმდეგის კარს. ერთ-ერთი შეტევის დროს მეგედი კარგად იყენებს ჭიჭინაძის ზუსტ გადაცემას და ძლიერი დარტყმით ხსნის ანგარიშს. 1:0 მიჰყავთ თბილისელებს. თამაში ტემპიანად, მაღალ ტექნიკურ დონეზე მიმდინარეობს. სახიფათო მომენტები იქმნება ხან ერთ, ხან მეორე კართან. წყალბურთელები ღელავენ. როგორც მოსკოველები, ისე თბილისელები ხელიდან უშვებენ გოლის გატანის მრავალ შესაძლებლობას. მოსკოველთა შეტევა... მეკარე გოგოლაძის პირისპირ რჩება ტუმბრების თავდამსხმელი. დარტყმა... მეკარე გოგოლაძე არაჩვეულებრივ სიმაღლეზე ხტება წყლიდან და იგერიებს ბურთს. ინიციატივას მთლიანად თბილისელები ეუფლებიან. თამაშის დამთავრებას წუთები უკლია. შეტევაზე კვლავ თბილისელები არიან. ბურთი მეგედს აქვს. მარჯვენა ფრთაზე გვახარია ისტატურად გაუსხლტა მცველს, მეგედი დაუყოვნებლივ აწვდის ბურთს, და გვახარია შეუჩერებლივ გზავნის მას მოსკოველთა კარში. 2:0 — ასე მთავრდება ეს მეტად საინტერესო და დაძაბული ასპარეზობა. დინამოელებს პრაქტიკულად გაბედებული აქვთ ჭიეჯგუფში პირველი ადგილი.

ტალინის „დინამო“ მეხუთეჯერ დამარცხდა. ამჯერად ლენინგრადის „ბალტიკასთან“. ტალინელებმა რვა ბურთი მიიღეს საკუთარ კარში და მხოლოდ ერთი ბურთის გაქვითვა შეძლეს.

ამრიგად, ხუთი ტურის შემდეგ 10 ქულით პირველ ადგილზე თბილისელები არიან, მეორე და მესამე ადგილს იყოფენ მოსკოვისა და კიევის „ბურევესტნიკის“ კოლექტივები. მეოთხე ადგილზეა ლენინგრადის „ბალტიკა“, „ტრუდს“ (მოსკოვის ოლქი) ხუთი ქულა აქვს. თუ რომელი გუნდი იქნება ფინალური ჯგუფის მონაწილე, ამას დარჩენილი თამაშების შედეგები გამოარკვევს.

დღეს თბილისელები ხვდებიან მინსკის „ბურევესტნიკს“.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები:

თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების—3-63-03, პასუხისმგებელი მდივნის—3-72-80, სამდივნოსი —3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების, მრეწველობისა და ტრანსპორტის—3-57-61. მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის—3-81-84, ხოფლის მეურნეობის—3-32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების—3-80-84, ლიტერატურისა და ხელოვნების, ინფორმაციის—3-16-90, წერილების—3-73-24, „სახლუსტრაციო—3-20-43, მუშსოფლკორთა კაბინეტის — 3-03-67, განცხადებების მიღების — 3-64-43.

УО 03961

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.

ლიდეროგს სმისლოვი

მოსკოვი, 8 ივნისი. (საკდესი). დღეს ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში, სადაც ექვსი ქვეყნის მოჭადრაკეთა ტურნირი მიმდინარეობს, გაიმართა ისლანდიის ჩემპიონის გროსმაისტერ ოლაფსონისა და მოსკოველი ოსტატის ვასიუკოვის დაუმთავრებელი პარტიის გათამაშება. ეს პარტია „შეწყდა პოზიციაში, სადაც მეტოქეებს დარჩათ თითო ეტლი, მსუბუქი ფიგურა და სამი პაიკი. მაგრამ ფიგურების უფრო აქტიურმა განლაგებამ შესაძლებლობა მისცა საბჭოთა ოსტატს ზუსტი თამაშით მოეპოვებინა გამარჯვება. ეს პირველი დამარცხებაა ისლანდიელი გროსმაისტერისა, რომელიც მეთაურობდა სატურნირო ცხრილს მერვე ტურის წინ.

ახლა წინ არის მსოფლიო ექსჩემპიონი სმისლოვი — 5,5 ქულა 8 შესაძლებელში. გროსმაისტერებს ოლაფსონსა და ბრონშტეინს,აგრეთვე ოსტატებს არონინსა და ვასიუკოვს აქვთ ხუთ-ხუთი ქულა. მათ შემდეგ არიან: პორტიში —4,5 ქულ